

75
1915

საქართველოს საზოგადოებრივი მეცნიერებათა საზოგადოება

საქართველოს
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
საზოგადოება

საქართველოს
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
საზოგადოება



1915



№№ XI & XII.

საქართველოს
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
საზოგადოება

განყ. V
№ 255
საქართველოს
საბავშვო

ბავშვული

წელიწადი 80-XI. № № 11 & 12 1915წ.

138/2
1915



საბავშვო
საქართველოს
საბავშვო

იესო ბავშვებთან

646

9827



საბავშვო საკვანძო
საქართველოს
საბავშვო

შინაარსი

I—იესო ბავშვებთან, —სურათი	1
II—ზამთრის სურათი, —ლექსი დ. კლიოზაშვიდაისა	3
III—სოფლის ძროხა, —დ. ვედრეხაშვიდაისა	5
IV—იშვიათი ბავშვი, — ლეო ამნაძისა	16
V—შესვენება, —ლექსი მაქვრიადაისა	20
VI—მზე დამთვარე, — (წარმართული ლეგენდა) გიგო ნათაძისა	22
VII—ეშმაკის მოცემულს ისევ ეშმაკი წაიღებს, —სამეგრელოში ჩაწერილი ზღაპარი იოსებ ყიფშიძის მიერ	27
VIII—განშორების ეპოსი, —ლექსი ა. სისახრუდაძისა	34
IX—სამი ჩრდილი, —ლექსი; თარგმანი ნ. ურასა	36
X—პატარა მემუსიკე, —თარგმანი ან. ახაჯაშვიდაისა	39
XI—ნინო მაქავარიანი, (ნეკროლოგი), —დ. კლიოზაშვიდაისა	67
XII—ზაფხულის ბოლო, —ლექსი გ. ლეონისა	71
XIII—დიდებული ფლორენციელი, —თარგმანი ნ. ა.—სია	73
XIV—ბრძოლი ადამიანისა ბუნებასთან. — როგორ აწყობენ ადამიანები თავის ცხოვრებას, ავ. როსტომაშვიდაისა	46
XV—გასართობი, —შარადები, გამოცანები, რებუსი და ალსნა	94



ზამთრის სურათი

ზამთარია...

ცივა... ცივა...
თოვლის ფიფქი
ზეციით ცვივა.

ეფინება

არე-მერეს...
ყველა აფრქვევს
კრემლებს მწარეს.

ალარ მღერის,
ჩიტე ბაღში;
მხოლოდ ყვავი
დაჰფრენს კარში.

ყვა, ყვა, ყვა, ყვა!—
სულ ხრიალებს;
ლხენით თვალებს
აბრიალებს.



ტყეში მგელი,
 სისხლის-მსმელი,
 დაძუნძულებს,
 საძაგელი.

სურს კბილები
 გაჭკრას რამეს;
 ელის... ელის
 წყველიად ლამეს.

სოფლად ქოხში,
 ბუხრის წინა,
 პაპა-ჩემი,
 ჩემი მინა,—

ზის დაღვრემით,
 იცრემლება:
 შვილზე დარდობს...
 ივედრება:

ღმერთო, ჩემო,
 შემისმინე,
 ომით შვილი
 მომივლინე!

ზამთარია...
 ცივა... ცივა...
 თოვლის ფიფქი
 ზეცით ცვივა;

ეფინება
 არემარეს;
 ყველა აფრქვევს
 ცრემლებს მწარეს.

დ. ელიოზიშვილი.



სოფლის კროხა

(ეუბლება შიო მღვამელს).



ურჯ თოვლში გაჰქრა მოკლე და
ცივი ზამთრის დღე.

პატარა, დაძველებული ხის სახ-
ლი სოფელზე მოშორებით იდგა;
თითქო დაემდურა იმ სახლებს,
რომლებიც მოჩანდნენ შორი-ახლო
ორღობის უკან და განმარტოებით
დადგა მომადლო ადგილზე, წყლის
ნაპირას.

ჯერ არ ჩამოეშვათ ფარდები
ფანჯრებზე; ოთახში ენთო ლამფა,

და მისი ყვითელი შუქი ოდნავ ირხეოდა ძირს, თოვლ შუა
მომწვევდელ შავ წყალში.

საბედოს და ბავშვებს უკვე ტკბილად ეძინათ. დიდი,
შავი, თეთრ-ყუდა კატა იჯდა პაწია ვანოსთან და ყურში
თავის ტკბილ ზღაპარს უჩურჩულებდა.

ელვიდა მარტო სიმონას. ჩაფიქრებული, დაღონებული, გულხელ-დაკრეფილი იჯდა ის ტახტზე და თვალს არ აშორებდა აღულუნებულ ბუხარს. მისი აზრები ჩიტებსავეით ფრინავენ.

ბრძოლის ველი! იქა ჰყავდა მას შვილი, კობტა მიხაკო. ამ დღეებში მიიღეს მისგან წერილი; იწერებოდა: საავადმყოფოში დაწინაშეს მწერლადაო. ახლა სიმონას იმისი დარდი არა ჰქონდა, მაგრამ გულს სხვა სევდა არ შორდებოდა. არ მოუვიდა მოსავალი, სოფელში გაჩნდა ქირი, დაეხოცა საქონელი.

— ნეტა ძროხა მაინც შემრჩენოდა!— ფიქრობდა სიმონა.— საბრალო ბავშვები!— შეჰხედა მან მძინარე შვილებს: — ღრძილები დაიგლიჯეს გამხმარ მკაღზე; არც მაწონია ამათთენ, არც დო, არც ყველი! რა უყო ამ საცოდავებს: რა წყალში გადაეარდე?

— ეჰ!— ამოიოხრა სიმონამ და ხმა-მალლა სთქვა: — სოფოს გავითხოვებ! ურადში ძროხას არ მომიყვანს სასიძო? ეს კი წესია ჩვენს ოსობაში.

II

რამდენიმე დღის შემდეგ სოფომ მოუტანა ქალბატონს კვერცხებით სავსე კალათა.

სალამის შემდეგ მოახსენა ქალბატონს:

— უკაცრავად: დედამ შემოგითვალათ, ძრიელ სირცხვილია, რომ თქვენთან ვასაღებთ კვერცხებსაო, მაგრამ ძიელ გვიქირს ქალბატონო!..

— განა არ ვიცი, რომ გიქირთ. ესე უთხარი დედა შენს: ვინ ჩივის, რომ ჰყიდით-თქო.

ლამაზი, მზიანი დილა იყო. ჯერ სასადილოდან არ გაეტანათ სამოვარი.



— აიღე სინი, ამოალაგე კვერცხები, მერე ჩაი მიიტრიალე...
უთხრა სოფოს ქალბატონმა.

გოგომ ღიმილით შეანათა კატოს დაღონებული თვალები.

— გოგო, რათა ხარ ეგრე მოშლილი?

სოფომ თავი ჩაღუნა და თითების ფშვინა დაიწყო.

— მაინც მითხარი, რაა შენს თავს? — ჩააკვივდა კატო: —
რათა ხარ ეგრე დაღონებული?

— რა მაქვს სასიხარულო, რომ გავიხარო? — ამოიოხრა
სოფომ და არაფერი არა სთქვა.

— შეილო, ეხლანდელ დროში ვინ ხარობს? ხომ იცი —
რა უბედურობა დატრიალდა ქვეყანაზე?

— ქალბატონო, მართალია: ჯერ ომი სად იყო, მაგრამ
ჩვენ ვიტანჯებოდით...

კატომ დაუსხა ჩაი, დაულაგა თევზზე ყველი, პური და
ტაბტის ბოლოზე დასვა სტუმარი.

— არა, სოფო, მე გატყობ. რომ შენ რაღაც ახალი
დარდი გაწუხებს. მითხარი, გოგონა, რაა შენს თავს: იქნება
გიშველო?!

სოფომ გაიღიმა, კობტად გადაიგდო თავი და აღელვებ-
ბით დაიწყო:

— მამა ჩემი ჩამციებია, ქალბატონო, — მოწინააღმდეგე
სენა გოგო?: — ძალას მატანს — გათხოვდიო; ურადს ავიღებ
და ოჯახს ფეხზე დავაყენებო. სასიძო იმ კვირია მოიყვანა:
სახლი გასინჯეს... თავს მოვიკლავ, ქალბატონო, და იმას კი
არ გავყვები...

— არ მოგწონს?

— მოწონებაზედაც არ არის, აი ამის მაღლს გეფიცე-
ბით... — დაადო სოფომ ხელი პურის ყუას. — რა დროს ჩემი
გათხოვებაა?

— რატო, შეილო? უწინ შენზე პატარები თხოვდებო-
დნენ.

— არა, ქალბატონო: მე რომ გავთხოვდებოდა, მამისა და დედ-მამის ჯავრი გამყვება...

— აქ რო ხარ, რითი შველი იმით?

— იქნება სულ მცირეა ჩემგან შველა, მაგრამ... მე სულ სხვას ვფიქრობდი.

— რასა, გოგონა? — აღერსით ჰკითხა სოფოს ქალბატონმა. — ერთი სამზარეულო დავათვალიერო: ამ საათს აქა ვარ, — უთხრა სტუმარს კატომ და გავიდა სასადილოდან.

სოფომ მაღიანად დალია ჩაი, დაამზო ლამბაჭზე ჭიქა, სამოვრის გვერდით, მიაღაგა ცარიელი თეფშიც.

— სოფო, შენ გამოგყვება მებოსლე: წადი წისქვილში; ამ კვერცხების ფასში მოგცემს ერთ ჩანახ ფქვილს. ესეც ასე; აბა, მიაშვებ შემდეგი. უკაცრავად, სიტყვა გაგაშვებინე.

— იმას მოგახსენებდით: სრულიად არ ვფიქრობ გათხოვებას. აი, მიხაკო იწერება, რა ბედნიერად უცხოვრია გერმანელებს. ქალაქში წავალ დეიდა ჩემთან; ვიმუშავებ და ოჯახს უშველი; ჩემზე პატარები იღებენ თვეში შვიდ მანეთს; მე რვას არ მომცემენ? ერთ წელიწადს ვიმუშავებ და მოვაგროვებ ფულს; უყიდი მამა-ჩემს ძროხას, ქმარს-კი არ გავყვები... ძმებსაც ჩავიყვან, ქალქში კაცებად გავხდი...

— რომ არ გაგიშვას მამა შენმა?!

— გავიპარები!

— ვის გაჰყვები.

— ვისა, და ჩემ დეიდაშვილს; იქ მზარეულად არის; ხანდახან მოდის აქა, ფრინვლის საყიდლოდ...

— არ გირჩევ. ხომ იცი, რა ხასიათისაა მამა-შენი: გადამტერება იმ შენ დეიდაშვილს, მოხდება ერთი რამე უბედურება... არა, შვილო, ნუ იზამ: ცოდოა საბედო, — დაიტანჯება...

— ქალბატონო, თქვენი ქირიმე, არ შემოძლია გათხოვება. ისეთი მღელღარებით სთქვა სოფომ ეს სიტყვები, თითქო ვინმე დაღრჩობას უპირებდა.



— კიდე რომ სარჩო ჰქონდეს იმ ოსს, ან განათლება, იქნება მაშინ ეშველა ჩემი ძმებისთვის, მაგრამ...

III

იღგა ნაზი, მშვიდობიანი გაზაფხული.

მწვანე ქინძისთავების მზგავსად ამოეყო ბალახს თავი მიწიდან, რომელიც მოგაგონებდათ ხავერდს: თოვლიც აქა-იქ ბამბასავით იყო დაყრილი.

მალლობიდან მორბოდნენ ნაკადულები. მორბოდნენ ჩხრილით: იმათ კობტა პირზე ცელქად ციმციმებდა მზის შუქი; ჩიტუნები ეწაფებოდნენ აღმასის წყალს და შემდეგ მიფრინავდნენ კიკიკით მოწმენდილ ცაში.

საბედოს გაეღო კარები და რაც ძალი და ღონე ჰქონდა — ძველი ასტმით ფხვკდა იატაკს და გროვა-გროვა ტალახებს ისერიდა კარში.

სიმონამაც ჯერ დაგავა ბოსელი, მერე აანთო ბუხარი და დიდი ქვაბი მიადგა. მოხუცი მეზობელი სალო თონეს ახურებდა; ეტყობოდათ, რომ დღეს სტუმრებს ელოდნენ.

— საბედო, აბა სოფო გაგზავნე თიმლიანთან, ერთი ბოთლი არაყი მოგვყიდოს. — მისცა სალომ ხმა სახლის პატარონს.

— ჩქარა, ჩქარა! — დატრიალდა სიმონა, — საცაა მოვლენ სტუმრები...

— სოფო! სოფო! — ეძახდნენ ახალ-გაზდა ქალს ხან დედა, ხან მამა.

— რა ექნა, სად ჯანაბაშია: მთელი დილა არა ჩანს, — ჯავრობდა საბედო.

— პეტოანთას იქნება, ურიია, ფარჩა მოიტანა... უთხრა პატარა მათიკომ თავის ქექით.

— წადი, გაირბინე, შეილო, დედა გეძახისთქო.

— იქ არ არის, სოფო! — წამოიძახა ორი წლის ბავშვთვალა სანდრომ.

— რა იცი რომ იქ არ არის?

— მე რომ დღეს მოზვრები წავასხი გვერდაზე, — სოფო ტყეში მიდიოდა.

— ტყეში რა დარჩა? — ჰკითხა ბავშვს აღელვებულმა საბედლომ: — რას ეძებდა?

— წითელ-თავიანი ქინძისთავი დავკარგეო. იმას ეძებდა...

— დედა! — პაწიას თავისი დარდი ჰქონდა: — მშვიან, ხორცი მაქამე, — მიუშვირა თითი ქვაბისკენ; საიდანაც ორთქლი ამოდდიოდა.

— კარგი ერთი! — შეუტია დედამ: — ნუ ხარ ლოკაფი; ხორცი სტუმრებისთვის იხარშება... აიღე პური, ხახვი შეატანე.

— ბევრნი იქნებიან სტუმრები? — წაიბურტყუნა ბავშვმა.

— ჯერ მოვიდნენ, და მერე დავთვალათ.

— დგდილო, პური მშია! — ტირილით სთხოვდა პაწია მარიამ.

— გაჩუმდი, შე გასაქრობო! ორი პური გაათავეს ამ დილას, და კიდე ჰშიათ.

ორთქლავდა ქვაბი, ჩუხჩუხებდა წყალი, თეთრად მოჩანდა ძვალი, ლორის სუნით იბნიდებოდნენ მშვიერი ბავშვები.

როცა ხონჩებზე გაიტანეს თბილი გუნდები და სიმონა, სოლო და საბედლო თონისკენ წავიდნენ, სანდრომ მარდად ჩამოიღო თაროდან ხის ჩაშჩა, თიხის ჯამი და ეცა ქვაბსა.

— ამ წვეს პური შევატანოთ; — სიხარულით სთქვა ბავშვმა. — ნინო, მაიტა პური, ბოსელში წავიდეთ! — უბძანა და-ძმებსა.

ბავშვები სწრაფად გაიხვეტნენ ბოსლისკენ. სანათურის პირდაპარ გაადააბრუნეს გოდორი და გემრიელად დაიწყეს საუზმობა.



არ აწუხებდათ ბავშვებს პატივის სუნი, არც სიცივე, არც უხერხულობა; ერთ წუთში ისე მოლოკეს ჯამი, რომ გარეცხა არც კი მოუნდებოდა.

— სიმონა! როგორ დამშრალა, შეხე? მგონი კოკაშია წყალი, დაასხი, — უთხრა საბედომ ქმარს, როცა შემოვიდა ოთახში და ქვებს ჩახედა.

ბავშვები ეზოში დაიფანტნენ.

ორლობეში გამოჩნდნენ სტუმრები.

სიმონამ საჩქაროზე ჩოხა გადაიკვა.

— რაქნა, სად არის სოფო? — მიმართა კოლს. — სად დაიკარგა? აჰა, მოდიან კიდევ.

ორლობიდან ოდნავ ამწვანებულ მინდორზე მოდიოდა ორი თეთრ-წვერა მოხუცი; იმათ შუა-წვრილ ტანიანი, მაღალი, ახალ-გაზდა შევეგრემანი კაცი — სოსო, საქრმო სოფოსი, წითელ ჩოხაში და თეთრ ახალუბში გამოწყობილი.

— უიმე რა შევია! — დაიძახა სანათურის წინ მღვარმა სალომე: — მუგუზალს არ უგაფს სახე! აჰას უნდა გაჰყვეს ჩვენი სოფო!

ორი ხანში შესული კაცი ამ სამ კაცს მოსდევდა.

— მობრძანდით! მობრძანდით! — მიესალმა სტუმრებს სიმონა და მოუდერა ჯოხი ძაღლებს, რომლებიც ის იყო მივარდნენ უცხოებს.

IV

გონება დაფანტული, შეშინებული იჯდა სოფო მატარებლის ვაკონის, კუთხეში, თითქოს! მიაკრეს კედელსაო, და საცოდავით აბრიალებდა ლამაზ შავ თვალებს.

— ყოჩაღად იყავ, სოფო, ნუ გეშინიან! მე აქ არა ვარ? — აღერსის კილოთი ეუბნებოდა ქალს იმისი დეიდა-შვილი.

პლატონი იყო მზარეულად ერთ კარგ ქართულ ოჯახში, თბილისში. იცოდა დიდი გაქირვებული ცხოვრება თავისი დეიდასი, გაგონილი ჰქონდა, რა სადარდელი იყო იმისთვის სოფოს გათხოვება, ისიც იცოდა, რომ გაუთლელი ტეტია კაცი იყო სასიძო, იმისი მთხოვნელი, იცოდა, და ძლიერ ებრალებოდა სოფო; რამდენიმე ხანს დეიდაშვილებში საიდუმლო მიწერ-მოწერა იყო, სოფოს მაგიერ სწერდა დიაკვნის კოლი; წერილებიც თბილისიდან მოდიოდა იმის სახელზე.

„საცა მე ვარ მზარეულად,—იწერებოდა პლატონი უკანასკნელ წერილში,—ისეთი ოჯახია, რომ მთელ თბილისში არა მგონია იმის ცალი იყოს: პატოსანი, კეთილი, ხალხის მოყვარე. მამაშენმაც რომ გაიგოს შენი აქ ყოფნა—არ უნდა გაჯაერდეს; მეოჯახობას, კრა-კერვას, წიგნს,—სუყველაფერს გასწავლიან, თან კაი ჯამაგირი გექნება; იმათ არ იციან ხალხის ჩაგრვა,—მადლიანი ოჯახია.

ქალაქ ადგილებში ძლიერ გაძვირდა ფრინველი და კვერცხი, ერბოც ძნელი საშოვარი გახდა.

პლატონი გაგზავნეს სოფლად იქ უნდა ეყიდნა სურსათი. დეიდასთან არ მივიდა, მხოლოდ ჩუმად აცნობა პლატონმა დეიდაშვილს თავისი მისვლა.

გამოკრა სოფომ პაწია ბოხიაში ერთი წყვილი საცვალი,—მეტეც არა ჰქონდა,—გადაიწერა პირჯვარი და უსიტყვოდ გამოესალმა სოფელს.

სწორედ იმ დილას როცა იმისი დედ-მამა მოყვრებს ელოდნენ და საქმე უნდა გაეთავებინათ.

—
 გაირბინა ათმა თვემ.

ეს დრო საკმარისი იყო, რომ სიმონა შესჩვეოდა თავის მდგომარეობას, საბედოც დამზვიდდა: იცოდა, რომ თბილისში სოფო არ იყო უპატრონოდ.



სრულიად დაავიწყდათ დედ-მამას თავისი დიდი გატყუებების
 თავისი სიღარიბე, ვერ შეუიფრინებოდა მხოლოდ იმ მდგომარეობას
 რომ საყვარელმა სოფომ დაანება თავი დედ-მამას.

ამასობაში ისე გაახალისა სოფო ახალ პირობებში ცხოვრებაში,
 რომ დედ-მამა ვეღარ იცნობდა, რომ ენახათ. სუყველად
 საკმის შნო და წერა-კითხვის ნიჭიკ გამოიჩინა როცა
 გავიდა ორი თვე ქალბატონმა ანნამ უბძანა.

— შეილო სოფო, შენ ისეთი მუშაკი და ერთგული
 გამოხვედი ამ ოჯახისა, რომ რასაც რუსის დედაკაცი იღებდა,
 თვეში თუმანს, ეხლა შენც ის გექნება. ზიცი, რომ შენ აქა
 ხარ, შენი სული და გული კი სოფლისკენაა, ოჯახში. ძალიან
 მიხარია, რომ სოფელი გიყვარს, პლატონმა მითხრა—სოფო
 აგროვებს ფულს სოფლისთვისაო. ეგ კარგია, შეილო გულ-
 დასმით იმეცადინე,—სოფელში გამოგადგება.

— დიად, ბატონო, მეც მაგას ვფიქრობ. რა გლების
 საქმეა ქალაქებში ყოფნა. ეს ღროებით იქნება. ვფიქრობ
 ერთი ორი გროში ვიწოვნო და ოჯახს უშველო. დიდი სი-
 ღარიბეა ჩვენს ქოხში. თქვენ რო ბალში წამიყვანეთ, ნეტავი
 იქ დააბინაოთ ჩემი ძმა სანდრო!—ამოიოხრა სოფომ.—მება-
 ლეობა რო ისწავლოს, მუდამ ექნება ლუკმა პური.

— იმასაც დავაბინავებ, შენც. ეგრე ერთგული იყავი
 ჩემი ოჯახისა!

V

ოცდა სამ ქრისტიშობისთვის პლატონს კიდევ მოუხდა
 სოფლად წასვლა—სურსათის საყიდლად. ერთ მეგობართან
 ჩამოხტა.

— შემიპირე ძროხა?—ჰკითხა მან მასპინძელს.

— შეგიპირე, მაშ! ფულის საქმე არ არის? ათ თუმანიანი
 ძროხა შეიდ თუმანში მომცა, ჩემმა მზემ! ისეთი ჯიქანი აქვს,
 რომ ერთ კვირად რძეს მოიწველის დღეში.

— როგორ გაუხარდება სიმონას!

— გაუხარდება, და აგრე?!

დაიფანტნენ ოქროს ვარსკვლავები: მოერია ღრუბელი; გულ-მკერდზე დააყარა ზეცას, ცეცხლის ნაპერწკლებსავეთ. მალალი მთები ჩაფიქრებულ დარაჯებად უდგნენ ქვეყანას, თეთრ ნაბღებში გახვეულნი. თითქო ამათ ებარა სოფელი **ლამისი** და იცავდნენ მის მშვიდობიანობას.

ძალიან მოწყენილი იჯდა ბუხართან სიმონა. შობაა. უკანასკნელი კუნძი იწვის. არც ფქვილი, არც კაპეიკი ფული. დღესასწაული გაფხეკილ სახლში!

— რა ვქნა, აგრე უნდა იჯდე?—ჰკითხა ცოლმა.—ვაეკაცი არა ხარ? წადი წისქვილში. ერთ ჩანახ ფქვილს რომ გორ დაგიჭერს მეწისქვილე; გაზაფხულზე სამ ჩანახს მივცემ.

— დედაკაცო!—მოუვიდა გული სიმონას:—განა ცოტა მოუცია ჩემთვის? კოდზე მეტი... ვერ წავალ, მრცხვენია.

— მოიცა, რალაც ხმაურობაა...

სიმონამ აანთო კვარი და კარში გავიდა.

ძაღლებმა ყეფა ასტეხეს.

— აქ გამო!—დაუყვირა სიმონამ, კვარი გადასცა ცოლს, თვითონ მაზარა წამოიხურა და მიეგება კაცებს. ერთ სტუმარს ეცვა მაზარა, მხარზე გატენილი ხურჯინი ეკიდა და ხელში დიდი სახრე, ეკირა, რომელსაც ოდნავ უქნევდა მოთეთრო, მიხაკის ფერ ფეხებიან ძროხას, მეორე კაცი იყო შავ მაუდის პალტოში გამოწყობილი. ის თოკით მოათრევდა პატარა ხბოს.

— დეიდა საბედო შინა ბძანდება?—მოუხადა ქული და ჰკითხა სიმონას პალტოიანმა კაცმა.

— დეიდა გენაცვალოს, შენა ხარ, პლატონ?

ყმაწვილმა კაცმა თოკი სიმონას გადასცა. მხურვალედ გადაეხვია თავის დეიდას და დაჰკოცნა.

— ძროხა ვისია?—ჰკითხა სიმონამ მაზარიან კაცს.



— ეს ძროხა, წერილი, ერთი თუმანი ფული და ნაწეს
 ხურჯინი სოფომ გამოგიზაენათ!—უპასუხა სიძეს პლატონ-
 მა,—სიყვარულით მოგიკითხათ...

რამდენსამე წუთს გაშტერებით უკქერდნენ ცოლ-ქმარი
 ამ მოულოდნელ სტუმარს.

მერე სიმონამ შეჰყვირა:

—მართალია, ძლიერ ვჯავრობდი სოფოზე, მაგრამ ღმერთ-
 მა გაახაროს, რომ მოაგონდა თავისი საცოდავი ოჯახი!

მოიხადა ქუდი, შეხედა ზეკას და აღელვებით სთქვა:

— გამჩენო, ნუ დამკარგავ!..

მეტი ვერაფერი ველარ სთქვა: ცრემლები აღჩაობდა...

— უი პლატონ, სოფომაც გაიხაროს, შენც გაიხარე და
 შენი პატრონის ოჯახმაც. რა ბედნიერებაა ჩვენთვის ეს ძრო-
 ხა! გავყიდი რძეს და პურის ფულს მაინც ავიღებ.

ერთ წუთში ძროხას ბავშვები გარშემოერტყნენ.

—რა ლამაზია!

— ძია, რა ჰქვიან?

— ბოსელში წავიყვანოთ!


— ხიი! ხიი! არა გცივა?—კისერზე ეხვეოდა ძროხას სან-
 დრო და ელაქუცებოდა.—წამო ბოსელში, წამო, ჩემო ლა-
 მაზო!

ბავშვებმა შეიყვანეს ძროხა და ხბო ნახევარ სახლში,
 რომელსაც „ბოსელი“ ერქვა.

როცა გახსნეს ხურჯინი,—ძროხა და ხბო ბავშვებს სრუ-
 ლიად დაავიწყდათ. ზოგნი ტახტზე ისხდნენ; ზოგნი დედის
 მუხლებთან და ზოგნი ფეხებთან. გაკვირვებული და გახარე-
 ბული ბავშვები ჩიტუნებშავით ჭიკჭიკობდნენ.

დ. ვედრებისელი





იშვიათი პავშვი

(პატარა ვანიკო აბაშიძის ხსოვნას.)

190... წელს ახალწლის წინა ღამეს ქალაქი ო... ჩვეულებრივზე სევდიანად გამოიყურებოდა: არ ისმოდა ქუჩებში ეტლების ფუსფუსი არც სადღესასწაულოდ მოფუსფუსე ხალხი აწუხებდა ერთმანეთს ქვაფენილებზე შეხლა-შემოხლით. მხოლოდ აქა-იქსახლის ფანჯრებში მკრთალი სინათლე ამტკიცებდა, რომ მდგმურებს ჯერ არ ეძინა და საახალწლო სამზადისში იყვნენ გართულნი.

წყნარი, მაგრამ ცივი, სუსხიანი საღამო იყო. ცაზე მოკიაფე ვარსკვლავები ჩვეულებრივად ციმციმებდნენ და დაღვრემილ ადამიანის გულს მომავლის იმედს უღვიძებდნენ.

უკვე შუალამე გადასული იყო, მაგრამ დავრდომილ სვიმონას პატარა სახლში, რომელიც ქალაქის განაპირად იდგა, ჯერ კიდევ არ ეძინათ. არა, ისინი საახალწლო სამზადისში არ იყვნენ გართულნი: სოფიოს და ანეტას ამისთვის არც გუნება ჰქონდათ ახლა, და არც დრო, რადგან იმათი ძვირფასი ვანო ავად იყო და თავს დასტრიალებდნენ.

თვითონ სვიმონა ხომ აგერ თორმეტი წელიწადია, რაც დაუნდობელმა სენმა უნებურად ჩამოაშორა არამც თუ საახალწლო ფუსფუსს, არამედ მთელ ქვეყანას და უმწეოდ დაავადო სარეკელზე...

ოჰ, რა ბედნიერი იქნებოდა სვიმონა, ახლა რომ ერთი წამოდგომა და სიარული შეეძლოს, რომ თავის საყვარელ ვანოს დახედოს, თავზე ხელი მოუსვას და ანუგეშოს!



ბევრი ტანჯვა, ბევრი მწუხარება გადახედია სვიმონას ამ თავის დავრდომილობის გამო; ბევრჯელ უგრძენია თავი უბედურად, ბევრჯელ სიკვდილიც მონატრებია, მაგრამ ასეთი უბედური ის არასოდეს არ ყოფილა, — ასე მწარედ არასოდეს არ უგრძენია თავისი უმწეობა.

და განა ამაზე მეტი უბედურება შეიძლება? საყვარელი პირშო შვილი სიკვდილს ებრძვის, აი, აქვე, — მეორე ოთახში, სვიმონას კი არ შეუძლია მივიდეს მასთან, დახედოს და ანუ გეშოს...

— ღმერთო მომეხმარე, ღმერთო მომეხმარე! ნუ წამართმევ ჩემს ნუგეშს, ჩემს იმედს, ჩემ საყვარელ ბიჭუნას! — ბუტბუტებს საბრალო სვიმონა და გაშტერებული მისჩგრები დახურულ კარებს, რომლის იქით მისი იმედი, ავადმყოფი ვანო იმყოფება.

მართალია — სვიმონას, ვანოს გარდა, კიდევ ჰყავს შვილი, პატარა ანეტა, მაგრამ ვანო სვიმონას მოსწრებული შვილია, მერე კიდევ ვაჟი, და ასეც რომ არ იყოს, ვანო ხომ იშვიათი ბავშვია სწორედ ამიტომ სვიმონა მთელ თავის გაწამებულ ცხოვრებაში მხოლოდ ვანოს იმედით-ლა ცოცხლობდა... ჯერ სულ ბავშვი იყო ვანო და უკვე გასაოცარ ხასიათს იჩენდა: წარმოიდგინეთ, იმ ორიოდ გროშს, რომელსაც სამეურნეო სასწავლებლის გამგეობა აძლევდა, როგორც საბელ-მწიფო ხარჯზე აყვანილ ღარიბ მოწაფეს, ვანო უკლებლივ დედ-მამას უგზავნიდა. მისი მუდამ სახრუნავი — წელში გატეხილი მეტი ჯაფისაგან დედა და ლოგინად ჩავარდნილი მამა იყვნენ.

ახლა-კი ეს იმედი, ეს ნუგეში მშობლებს ხელიდან ეცლებათ. ჯერ ერთი კვირაც არ გასულა, რაც ვანო სახლში, მშობლებთან სადღესასწაულოდ ჩამოვიდა და უკვე სულთ-მობძავი ლოგინში წვეს. წითელი, სისხლიანი თვალები დედისთვის მიუშტერებია, თითქოს უნდა რაღაც უთხრას, მაგ-



რამ ენა აღარ ემორჩილება და მშრალი ტუჩებით უაზროდ რაღაცას ლუღლუღებს.

გარედ-კი ისევ საშინელი მყუდროებაა, თითქოს საღათას ძილს მოუტყავს ქვეყანა; მხოლოდ აქვე, მეზობლად, ვილაცას მოუპირავი წისქვილი საზარლად რუხრუხებს და საბრალო სოფიოს აფორიაქებულ ფიქრებს ძალა-უნებურად იტაცებს.

— გენაცვალოს, შვილო, დედა, გენაცვალოს, შვილო, დედა! — ბუტბუტებს საბრალო სოფიო და გაშტერებული მისჩერებია საყვარელ შვილს საშინელ თვალეებში, თან ფიქრობს, ფიქრობს დაუსრულებლად, თვითონაც არ იცის — რაზე: ფიქრი ფიქრსა სცვლის; ხან წარმოუდგება ვანო — პატარა, პერანგის ამარა, ტიტველა, გამხდარი შავი ფეხებით; ხან — დიდი, ღამაზი, სამეურნეო სასწავლებლის მწვანე ფორმაში გამოწყობილი, კეთილი შავი თვალეებით დედას შესცქერის და უცინის...

სოფიოს გული უსუსტდება, სული ყელში ებჯინება, უნდა საშინლად დაიყვიროს, შესძრას ქვეყანა, რომ მოვიდნენ, დაეხმარნენ და სიკვდილს გამოგლიჯონ მისი ძვირფასი ბიჭუნა; მაგრამ რაღაცა აჩერებს, და ჩუმად, უხმოდ თითქო ღოცავს ლუღლუღებს.

— ძამიკო, ჩემო ძამიკო! — თავისთვის ნელა ბუტბუტებს პატარა ანეტა და შეშინებული დედას მიჰკვრია...

გარედ კი ისევ სამარისებური სიჩუმეა და ისევ საზარლად რუხრუხებს ვილაცას მოუპირავი წისქვილი...

დღესასწაულები მიიწურა, შესწყდა ხალხის ფუსფუსი და ცხოვრება წყნარ, მდორე კალაპოტში ჩაღდა.

ბუნება კი, რომელიც აქამდის სულ ღიმ-მორეული და ცქრიალა იყო, მოიღუშა, წარბი შეიკრა და შხაპუნა წვიმა გადმოუშვა.

ბავშვებიც, ახმაურდნენ, ამოძრავდნენ: სათამაშოები სკივრებში მიაწყვე-მოაწყვეს, მაგიდაზე მიყრილ-მოყრილი წიგნები გამონახეს დააღაგეს, ჩანთები ჩააწყვეს და სასწავლებელში წასასვლელად მოემზადნენ.

მხოლოდ ვანო არ ერია ამათ რიცხვში...

აგერ ერთი კვირაა, რაც საბრალო სოფიომ მისი გაცივებული გვამი გამოიტერა და ქალაქის განაპირად პატარა ეკლესიის გალავანში ცივ მიწას მიაბარა...

ახლა სოფიო, როცა სკოლაში მიმავალ ბავშვებს დაინახავს, აგონდება თავისი ბიჭიკო და მდუღარე კრემლებით ტირის. ანეტაც ხშირად ტირის უდროოდ დაკარგულ ვანიკოს.

არ ტირის მხოლოდ სვიმონა: მისი მწუხარება უცრემლოა.

ლევო იმნაძე.





შ ე ხ ვ ე ლ რ ა

კადმოზეკწილ ქართველ მაჰმადიან ბავშვისა
და ქართველი დედისა.



ზე ჩავსვენა. ქალაქის ქუჩებს
მწუხრის ნიაფი ეალერსება.
შაველ მოცურავს ღამე ფრთა-შლილი;
ლავეარდ ცის მკერდზე ნათელი ქრება.

მელა*) ისევ ზის ქუჩის კიდეზე,
სველით ვაპყურებს უსახლგრო სივრცეს;
მუხლზე^ნ ხელები ჩამოუწყვია,
გაუტაცნია ბუნდოვან ფიქრებს.

მისთვის არც ღღეა, და არცა ღამე,
თუმც ცა კარს უღებს მომლიმარ მთვარეს,
და თეთრი შუქი, ვერცხლის ტბად შლილი,
კვლავ ეფინება ბნელ არე-მარეს.

—სიდან მოვსულვარ?—ფიქრობს პატარა:
—ამ ღილ ქალაქში რამ მომიყვანა?...
ან სად არიან ჩემი მშობლები,
ან ვინ წამართვა ჩემი ქვეყანა,—
მთებში გაშლილი ზურმუხტი ყანა...

*) აქარელ ბავშვის სახელი.



ჩემი სოფელი არა ჰგავს ქალაქს,
 ამ მტვერით გავსილ ციხე-სახლებსა!
 იქ თავისუფლად დაენაფარდობდი
 და მეძახოდნენ შავ-თვალა მწყემსსა.

უკან დამდეგდნენ პატარა ძმები:
 გადავირბენდით თვალ-უწვდენ მთებსა;
 დავკრებდით ყვავილს, ხტუნვით, თამაშით
 კვლავ ჩავეყვებოდით დაბურულ ხევსა.

ნეტავ სად დარჩნენ კაია, ჯალალ*)...
 მამის უბეში ითბობენ ხელსა,
 თუ ტკბილ ალერსით თავებრუ-დასხმულნი
 ეხუტებიან დედისკოს მკერდსა?..

მაშ თუ ასეა, რად არ სჩივიან,—
 სად დეკარგათ პატარა მედა?!
 აქ ცრემლი წასკდა საბრალო ბავშვსა
 და დაიკვნესა:—ოჰ, დედა; დედა!..

ამ სევდიან ხმით გულ-შეკრთომილი
 თავს წამოადგა მის ვილაც ქალი
 და ეუბნება:—ჩემო პატარავ,
 დღეს ჩვენ დედა ვართ შენტვის ყველანი.

და გულსა უხსნის ტკბილ საალერსოდ;
 თვალზე ცრემლს უშრობს მხურვალე კოცნით...
 —კურთხეულ იყოს თქვენი შეხვედრა,
 კურთხეულ იყოს!.. ლოცავენ ზეცით.

მიმქრალი.

*) აჭარულ ბავშვების სახელები.



მზე და მთვარი

(წარმართული ლეგენდა).



ოდესაც უფალმა ქვეყნიერების გაჩენა გადასწყვიტა, გააჩინა ჯერ ქაოსი. მაშინ არ იყო არც დღე, არც ღამე: ნათელი ბნელისაგან არ განირჩეოდა. არ იყო არც დედა-მიწა, არც ზეცა, არც წყალი, არც ხმელეთი, არც ღამისა, არც დღის მნათობნი.

ქაოსისაგან უნდა გაჩენილიყო ქვეყნიერება, დღისა და ღამის მნათობნი, ნათელი და ბნელი, მალლა ზეცა და ძირს დედა-მიწა. ძნელი საქმე იყო ეს, მაგრამ უფალს აბა რა გაუჭირდება? დალოცა მან ქაოსი, მისცა დედობის უნარი, და მას ამის შემდეგ მრავალი შვილი გაუჩნდა: გაჩნდა ნათელი და ბნელი, გაჩნდა მალლა ზეცა და ძირს დედა-მიწა, გაჩნდნენ ღამის მნათობი ვარსკვლავები.

წყნარი, აუღელვებელი ნეტარებით იყო აღსავსე ამათი არსებობა. შუაღამისას, ლაქვარდ ციაგში, ვარსკვლავები ისე წყნარად ვიდოდნენ, ლაღნი და თავისუფალნი, ირმის გზებზე თუ ცის ლაქვარდზე, რომ უფალიც კი ხარობდა და თვითონვე მოსწონდა თავისი ქმნილება.



ამ დროს საიდგანლაც—ვერავენ მიმზვდარიყო, საიდან, თვით უფლის მეტი—მოისმოდა სიმღერა, ისეთი წყნარი, როგორც თვით სიჩუმე, ჰარმონიული, როგორც თვით ქვეყნიერება, ნაზი, როგორც ცის ლავეარდის ალერსი.

ასეთ აუღელვებელ და აუმღვრველ სიწყნარეში, უკანონოდ, ვიდოდნენ დღენი, ვიდოდნენ თვენი... წელნი... მაგრამ ბოლოს მნათობთა შორის ორმა ქალ-ვაჟმა—მზემა და მთვარემ—დაარღვია ქვეყნიური მშვიდობიანობა.

მზეს იმ თავითვე სხვაზე მეტი სინათლე და სიციხოველე მოახვია უფალმა და მთვარეს კი—სხვაზე ნაკლები. ამათ ერთმანეთი შეუყვარდათ და ერთ წყნარ ღამეში, როდესაც ირმის გზები ცაზე კვლავინდელზე მეტი იყო და ქვეყნიური ჰარმონია ჩვეულებრივ სიმღერაში—უფრო მეტად საგრძნობელი, ერთმანეთს გაუმხილეს სიყვარული.

—არ ვიცი, შენი თვალების სინათლეა ეს, თუ ჩემი საკუთარი თვალეზით ვხედავ ქვეყნიერებას, — ეუბნებოდა მთვარე მზეს.

—არ ვიცი, შენი არსებობა მანიჭებს სიხარულს და ბედნიერებას, თუ ჩემი საკუთარი, — ეუბნებოდა მზე მთვარეს.

—არ ვიცი, შენი წამწამებია, ჩემ ქუთუთოებზე რომ ვგრძნობ, თუ შენი სინათლის სხივები, — ეუბნებოდა მთვარე მზეს.

—არ ვიცი, შენია, თუ ჩემი საკუთარი ის სინათლე და სიციხოველე, რომელიც უფალმა გარს შემომახვია, — ეუბნებოდა მზე მთვარეს.

ვარსკვლავები შეკრთნენ და გაფითრდნენ, ამნაირ ჩურჩულს რომ მოჰკრეს ყური ღამის წყვდიაღში. შეირყა, აირია მათი ზომლები, ცაში საყვედურისა და კილვის ხმა გაისმა.

უფალმაც გაიგო ყველა ეს და განრისხდა.—მანამდის მან არ იცოდა, თუ რა იყო მრისხანება.

ვარსკვლავები გაიფანტნენ, მიიმაღნენ, დადნენ და სფეროს შეუერთდნენ.

უფალი, ქვეყნიური ნათელით შემოსილი, გადმოდგა და დაენახვა თავის შექმნილ ქვეყნიერებას.

მისი ქალარა წვერი და თმა მრისხანედ გამოიყურებოდა, ირბეოდა და მასთან ერთად შიშით თრთოდა და ირყეოდა მთელი ქვეყნიერება.

— ყური მომაპყართ ყველამ! — გაისმა მისი გრგვინვა.

ცა და დედა-მიწა, ზესკნელი და ქვესკნელი, მნათობნი და ღრუბელნი, ყველანი გაინაბნენ, სულთქმა შესწყვიტეს.

— მზევ, შენ მოგახვევ გარშემო ქვეყნიერების სიციხოვლეს. იწოდე და არ იწობოდე და მარადის განიცდიდე გაათასკეცებულად იმ გრძნობას, რომელსაც მიეცი თავი ამ მშვიდ და წყნარ ღამეში. სკურავდე მარტოდ-მარტო მხოლოდ დღისით. უგზავნიდე მთელ ქვეყნიერებას სითბოსა და სინათლეს, მაგრამ შენი საკუთარი სიციხოვლე, შენი ტანჯვა-სიმწვავე მაინც არ იშრიტებოდეს.

მზემ ტანჯული თვალი ქვეყნიერებას გადაავლო, და მის პირზე ქვეყნისთვის თავდადება და უსიტყვო მორჩილება გამოიხატა.

უფალმა ახლა მთვარეს მიმართა.

— შენ უფსკრულ ჯურღმულში ჩაგაგდებ და იქ, დედა-მიწის სიახლოვეს, ვლიდე მხოლოდ ღამ-ღამე, რომ მზის პირი ვერ დაინახო. ქვეყნიური სიციხოვლის სხივი ყველას ერგება მზისაგან; მხოლოდ შენ იქნები ბნელი და ცივი ბნელ და ცივ ჯურღმულში.

გაათავა თუ არა ეს სიტყვა უფალმა, გაისმა საშინელი გრგვინვა. მთვარე ცას მოსწყდა და შთაინთქა უფსკრულში.

მზე კი სხივებით შეიმოსა და უფლის სინათლე მას შემოეხვია გარს. სიციხოვლე მას თან-და-თან მოემატა. მხოლოდ რამდენსამე ვარსკვლავს-ღა შერჩათ მათი სინათლე. საშინელი სიმწვავე იგრძნო მზემ და ნელ-ნელა მალლა-მალლა ავიდა.

ასე ვიდოდნენ დღენი, ვიდოდნენ თვენი... წელიწადნი... ყველა მიეჩნეოდა ახალ მდგომარეობას. მხოლოდ მზემ არ იცოდა, — ქვეყნიერი ცეცხლი სწვავდა მას, თუ მთვარის განშორება. მთვარემ არ იცოდა, უფსკრულის სიცივე და სიბნელე ჰყინავდა მას, თუ მზის განშორება.

მაგრამ აი ერთ ღამეს ქვეყნიერებას მოეცა მთვარის სევდით, ტანჯვით და კაეშნით აღსაყვებელი ხმა:

— მზეო, ჩემო მზეო! შენ მანდ ბედნიერი ხარ. . გამთბარი და განათებული... ქვეყნიერებას უგზავნი სითბოსა და სინათლეს... ქვეყნიერება გიყვარს... შენი მთვარე-კი.. შენთვის დაღუპული... სიცივესა და სიბნელეში იმყოფება .. ნუ დაიშურებ მისთვისაც ერთ სხივს... იმდენად მაინც გიყვარდეს შენთვის თავდადებული, რამდენადაც ყველა სხვა გიყვარს... სიბრალულს... უბრალო სიბრალულს მაინც ნუ მომაკლებ... ცოტა მეც გამათბე... ცოტა მეც გამანათე...

ვარსკვლავთ ყურები აცქვიტეს; მზეს შიშვეს თვალები, — აბა რას უპასუხებსო.

მზემ მთვარეს არაფერი არ უპასუხა. — მის თვალებში მხოლოდ სიბრალული და სიყვარული გამოიხატა. მთვარე მისგან შორს იყო და იგი ვერ დაინახა.

— აი, ქვეყნიერი ცვალებადობა; აი, ლალატი და შეუბრალებლობა! — წარმოსთქვა მთვარემ სასოწარკვეთილებით, თავი გვერდზე გადაჰხარა და ის იყო უნდა ღრუბლებში გახვეულიყო, რომ უცებ ისეთი საამური, ალერსიანი სითბო და სინათლე იგრძნო, რომ შეჩერდა და ზეცას შიშვერო თვალები.

იქ რაღაც ჩოჩქოლი იდგა. მზეს თურმე ვარსკვლავებისთვის სინათლე მოეტაცნა და თავის სინათლისათვის მოემატებინა. საშინელი, გაორკეცებული სიმწვავე იგრძნო მზემ, სიციხოველე რომ მოემატა, მაგრამ მაინც შემოიხვია გარს იგი, რომ მთვარისათვისაც ერთი სხივი მაინც გადარჩენოდა.

უფალმა რომ ეს გაიგო, კიდევ უფრო განრისხდა; მან ქვეყნიერებას მრისხანებით გადაჰხედა. ქვეყანა შიშის ზარმა შეიპყრო, თრთოლამ აიტანა.

ახლა-კი საშინელი განსაცდელი მოგლოდა ქვეყნიერებას. ის იყო უფალი აპირებდა ეღვა და ჰქეპა მოველინა ქვეყნისათვის და დაენტქა იგი, ცოდვილი და უმადური; ღრუბლებიც უკვე შემოიკრიბა გარშემო, მაგრამ... უცებ შესდგა... ღრუბლები შორი-ახლო მოკრძალებით დადგნენ და მშვიდი, წყნარი ცის ლაქვარდი გამოაჩინეს.

უფალმა მზეს შეჰხედა. მის პირზე გაორკეცებულ ტანჯვას ახალი კვალი დაეჩნია.

უფალს სახე გადაეხსნა. მისი ქალარა თმა და წვერი მამობრივის აღნერსით და სიყვარულით განსხივებული შესტინოდა მისგან გაჩენილ ქვეყნიერებას.

ამის შემდეგ უფალმა ქვეყნიერებაზე სიყვარული და მისი თანამგზავრი ტანჯვა, სიხარული და თავგანწირვა დააკანონა.

გიგო ნათაძე.





ეშმაკის მოცემუღოს ისევ ეშმაკი წაიღებს

(სამეგრელოში ჩაწერილი ზღაპარი იოსებ ყფშიძის მიერ)



ყო ორი ღარიბი კაცი. ორივეს ერთი წლოვანების ვაჟები ჰყავდათ. გარშემო ყველანი კარგად ცხოვრობდნენ, იმ ღარიბ კაცებს-კი არავინ ეხმარებოდა. ესენი ღმერთს ევედრებოდნენ: „ჩვენს შვილებს, ღმერთო, რამე სიძლიდრე მიეცეო“.

თორმეტი წლის რა ვახდნენ ვაჟები, ცოტა საწვრილმალო უყიდეს მამებმა სავაჭროდ. ისეთი მოცადინე გამოდგნენ, რომ ერთი წლის შემდეგ კარგი დუქანი გამოაწყვეს. შემდეგ ისე გაკეთდნენ, რომ რამოდენიმე მილიონის პატრონი ვახდნენ. საზღვარ-გარედ ხომალდები დაუდიოდათ, ბევრი ნოქარი, მოხელე და სხვა მოსამსახურე ჰყავდათ.

ერთხელ წვეულება გამართეს და ბევრი ხალხი დაპატივეს. დიდი მოღებნა იყო. ერთხელ ერთმა ამხანაგმა მეორეს ჰკითხა:

— ეშმაკი ამდიდრებს კაცს, თუ ღმერთიო?

— რას მელაპარაკები? — უთხრა მეორე ამხანაგმა, — ღეთის მიერ გამდიდრებული კაცი ვის გაუგონია? მამა-შენი და მა-

მაჩემი ყოველთვის ღმერთს ეხვეწებოდნენ, მაგრამ ყოველთვის საწყლები იყვნენ. მე თავის დღეში ღმერთს არ შევედრებოდი. ღმერთი რომ კაცს ამდიდრებდეს...

— შენ ტყუილს ლაპარაკობ, — შეუბრუნა ამხანაგმა სიტყვა. — ღვთის მიერ გამდიდრებული იქნება, თორემ ეშმაკის გამდიდრებული კაცი ვის გაუგონია?

— ძმაო, რას მელაპარაკები, — ისევ შეუბრუნა სიტყვა ეშმაკისათვის რომ ლაპარაკობდა — იმან, — შენ არა გქონია ჭკუა!

— მე ჭკუაცა მაქვს და ღმერთიც ვიცი. შენ-კი რაღაც სხვა ჭკუაზე ხარ, ეშმაკს რომ უჯერიო, — უთხრა ღვთისათვის მოლაპარაკემ.

შემდეგ უთხრა იმან, რომელიც ეშმაკისათვის ლაპარაკობდა:

— დაენიძლავდეთ მე და შენ. ჩვენ ყველაფერი საამხანაგო გვაქვს. თუ ღმერთი ამდიდრებს კაცს, რაც-კი რამ საამხანაგო ქონებაა, სულ შენა გქონდეს; ხოლო თუ ეშმაკი ამდიდრებს, მე მქონდესო.

ღვთისთვის მოლაპარაკემ უთხრა: — კარგი, ასე მოვიტყეთო!

გააკეთეს პირობები, დასწერეს, კარგად შეამოწმეს. ხომალდებით გააგზავნეს ამორჩეული კაცები სხვა-და-სხვა ქალაქებში იმის საკითხავად, ღმერთი ამდიდრებს კაცს თუ ეშმაკიო.

მივიდნენ ერთ ქალაქს. ნახეს ერთი ძალზე დაბერებული კაცი. იფიქრეს: აბა, ჭკუა თუ საღმე არის, ამას ექნება, ამ მოხუცსაო. ჰკითხეს:

— ბაბუა, საკითხავი რამე გვაქვს შენთანაო.

— რა უნდა მკითხოთ ჩემისთანა საწყალსაო? — უთხრა მოხუცმა ამორჩეულ კაცებს.

— ჩვენ გკითხავთ ერთ რამეს, და მართალი გვიპასუხეს: სული ნუ წაგიწყდებოა.

— რასა, ბატონო, რას მკითხავთ მე საწყალსაო?

— ღმერთი ამდიდრებს კაცს, თუ ეშმაკიო? — ჰკითხეს.

— ბატონო, სამაგალითოს მელაპარაკებით. ღვთის მიერ გამდიდრებული ვის გაუგონია? ორას ორმოცი წლის კაცი ვარ, ყოველთვის ღმერთს ვევედრები, მაგრამ ჩემი საშველი



არ იქნა: სულ საწყალადა ვარ. დღეს სიკვდილიც-კი გაქირდა. ვერ ხედავთ, როგორი საძაგელი მოხუცი ვარ? თუ ღმერთი კაცს ამდიდრებდეს, საშველი რატომ არ მომეცა: ჩემთვის არც კოლია, არც შვილი; ყოველთვის გაწვალებული და ასეთი საძაგელი ვარო.

ეს ამორჩეულმა კაცებმა დაიწერეს. ძლიერ გაუკვირდათ და თანაც ეწყინათ. კიდევ სამ ქალაქში უნდა მისულიყვნენ. სამივეში მივიდნენ. როგორც რომ აქ დახვდათ, ისე სამივე ქალაქში დახვდათ მზგავსი მოხუცები. ამათ კიდევ უარესი გაქირება უჩვენეს ამორჩეულ კაცებს. დიდათ შეწუხდნენ ამორჩეული კაცები. მოხუცი, რომელიც სხვა-და-სხვა

ფრად ეჩვენებოდა მათ, ერთი და იგივე პირობა; ის წამდელი ეშმაკი იყო.

ამორჩეული კაცები დაბრუნდნენ უკან მონიძლავე ამხანაგებთან. ღვთისათვის მოლაპარაკე ამხანაგი წაგებულ იყო, და ეს გამოუცხადეს ორივეს. წაგებულ ამხანაგი ისევ ღმერთს შეევედრა: „მადლობა ღმერთს: არ მეგონა, თუ ღვთის სახელისათვის წავაგებდი; ახლა მადლობა ღმერთსო!“

მეორე ამხანაგმა სიცილი დაიწყო:

— არ ვითხარი, ქკუა არა გაქვს-მეთქი? როგორ ვერ მიხვდი, მამა-შენი და მამა-ჩემი სულ ღმერთს ეხვეწებოდნენ, მაგრამ მშიერ-მწყურვალნი დადიოდნენ; ფეხზე ქალამანიც-კი არ ეცვათ და ყოველთვის გაკირვებულნი იყვნენ. ახლა რა უნდა გიყო: ტანს უნდა გაგზადო, და შემდეგ ჩემმა თვალმა რა დაგინახოსო.

დიდებულნი შეეხვეწნენ, ტანისამოსი ჰქონდეს და ცოტა რამე სხვაც აჩუქეო.



— ა, რას მელაპარაკებით?—უთხრა ეშმაკისათვის მოლაპარაკემ.—ის კი არა, სული რო მიჰყვება, ისიც კი მეტია



მგისათვის; ისიც არ უნდა გავაყოლო, ისეთი მიზეზი აქვსო. ჩქარა მომაშორეთ, თორემ უნდა მოვკლაო.

წაიყვანეს შიშვლად. რაც უფროსები იყვნენ, ყველა ეშმაკისათვის მოლაპარაკე ჯამაგირის ხალხი იყო და მისი უნებურობა ვერა ქნეს.

გადავარდა და წავიდა წაგებული ამხანაგი. ერთი ძველი ნაფი ზღვის პირს ქვიშაში დამარბული ნახა. მოთხარა და წყალში ჩააგდო. საიდგანლაც წყალი შევიდა ნავში. მადლობა ღმერთს!—თქვა მან:—მინც გაწვალებული ვარ; მინდა ღვთის სახელისათვის დავიღუპო.

დაიწერა პირჯვარი, ჩაწვა ნავში და დაიძინა.

ნაფი ზღვამ სადღაც წაიღო; არც წყალს ჩაუძირავს, არც დაკარგულა. ერთ ადგილას ზღვის პირას დიდი ხეებია, იქ მიიტანა წყალმა ნაფი, და კაცსაც გამოელევიდა. ღმერთს შეეხვეწა: „დავიღუპე მეგონა; სად მოგიტანივარო?“ გამოვიდა ხმელეთზე. აქეთ გაიხედა, ხეს თაფლი ჩამოსწვეთს. ცოტა შესკამა. იქით გაიხედა, სახლი დაინახა. კაცის ნადგომს არა ჰგავდა. როდესაც დაღამდა, ეს კაცი ბუხარში შეძვრა. მოვიდნენ ეშმაკები და თავიანთ ნამოქმედარს მოყვნენ. ერთმა თქვა, ამ კაცს რო წააგებია, იმ ეშმაკმა: „ერთი ღვთის მახვეწარი კაცი დავღუპე. რაც რო ებადა, ჩემთვის რო ლაპარაკობდა, იმას ვაშოვნინე. ამ მეორესაც ჩავაგონე. უნდა მეორე ქალაქს წავიდეთ, დაიჩქმა. შეიდი ხომალდი დატვირთა, ზღვაში შევიდა. ყველაფერი დაუნთქი და თვით ის კაციც დავღუპე. ახლა ის დამრჩვალნი ზღვის ფსკერზე ძვეს, მისი ქონება კი ზღვაზე დასკურავსო“. მეორემ სთქვა: „მე კიდევ უკეთესი ვქენი. ერთი ხელმწიფე იყო, ჰყავდა ერთი ქალიშვილი. ამას გული ამოვართვი და ეზოში ქვის ქვეშ დავმარხე. ახლა ის ქალი კვდება. მისი წამალი ქვეყანაზე არა არის რა, თუ იმ გულს არ ამოიღებენო“.

ეს საწყალი კაცი შიშით მკედარი იქ ცანცაბებს. ყველაფერი გაიგონა. დილა რო გათენდა, ღმერთს შეეხვეწა, ჰირჯვარი გადიწერა. წაეიდა და სოფელი ნახა. შიშველი იყო და სამოწყალოდ ტანისამოსი ითხოვა. იარა, იარა, და იქ მივიდა, სადაც ხელმწიფის ქალი კვდებოდა. ჰკითხეს:

— რა კაცი ხარო?

— შე ექიმი ვარო, — უთხრა მან.

— აბა ხელმწიფის ქალი ამრიგად გაჰირვებულიაო.

— ღვთის შემწეობ-თ იმისთანა ავადმყოფი ბევრი მომირჩენიაო, — უთხრა მან.

ხელმწიფეს მოახსენეს მისი ნალაპარაკევი. ხელმწიფემ დიდი სიხარულით დაიბარა და ჰკითხა:

— ასეთი მოგიჩინია?

— ბევრი მომირჩენია, თუ ღმერთი შემეწევაო. ერთი ოცდაათი კაცი მიშოვეო.



მოუყვანეს კაცები. დიდი ქვა გადმოაბრუნეს; ნახა, რო ქალის გული ქვის ქვეშ იდევ. ამოიღო და წამოიღო.



ვალესა და ქალს დააღვია. ქალი მორჩა. ხელმწიფემ ქალს
ჭკიბთა:

— ა. შეილო, შენი შაკეთებელი ღმერთი მოვიდა. რა
ვაჩუქოთო?

— რაც შენი ნება იყოსო, — უთხრა ქალმა.

— აბა, ამაზე უკეთეს კაცს ვერ ვიშოვნითო და სიძედ
შემოვეშვათო.

ჯვარი დასწერეს ხელმწიფის ქალზე და ხელმწიფედ და-
სვეს.

ქალს მიიწვიეს





განშორების ჟამს.

(ძღვნად დაბა სუჯუნის სკოლის მოწაფეებს)



ღეს გშორდებით... მეკუმშება
გული სევდის მძიმე სეტყვით,
და რაც მინდა, რაც ძლიერ მსურს,
შემკრთალ ენით დღეს ვერ გეტყვით.
ვითყვი მხოლოდ: თქვენგან წასვლას
მე ცხოვრება მაიძულებს,
და ამისთვის ნუ თუ თქვენგან
რომელიმე შემიძულებს?!..

ვინ უწყს—თქვენი მოშორება
ჩემთვის ვით არს დღეს სამძიმო,
და არ ვფიქრობ, მეღირსება
ისევ შვებით გავიღიმო?!...
მორიგრაჟე თქვენს სახესაც
ვხედავ-სევდა შეეპარა,
ვით ცისკრის ჟამს აღმოსავლეთს
კმუნვის ნისლი წაეფარა, —

მაგრამ სევდა ყრმათ სახეზე
 ისევ მალე გადაივლის,
 და ცხოვრება თქვენი, კარგო,
 ვით უვლია, ისე ივლის;
 მხოლოდ — თუ გსურთ გამახაროთ,
 და გული არ დამიღონოთ,
 რომ გვახსოვდეს ერთმანეთი,
 მოიგონოთ, მომიგონოთ, —

შეუდრეკლად, მხნელ განაგრძეთ
 დაწყებული გზა სავალი,
 ტანჯულ ხალხთან, მოძმეებთან
 მოიხადეთ წმინდა ვალი.
 შრომაშია ნეტარება,
 სხვა ყველა არს წარმავალი,
 შეუდგეთ სიმართლის გზას,
 და თქვენი მომავალი!...

დღეს გზორდებით .. და თან მიმაქვს
 თქვენგან ჯილდოდ, ნუგეშ-მცემლად —
 წრფელი გულის სიყვარული,
 რომ გეფრქვევათ თვალზე კრემლად!..
 აწ მშვიდობით!.. მეკუმშება
 გული სევდის მძიმე სეტყვით,
 და რაც მინდა, თვითვე ხედავთ,
 შემკრთალ ვნით დღეს ვერ გეტყვით.

კიდევ ვიტყვი, თქვენგან წასვლას
 მე ცხოვრება მაიძულებს,
 და ამისთვის ნუ თუ თქვენგან
 რომელიმე შემიძულებს?!..

ი. სიხარულიძე.



სამი ჩრდილი



იგ-რიგად სამი ჩრდილი ფერ-მკრთალი
სამოთხის კარებს მიადგა კრძალვით;
—გაგვიღე, წმიდავ, სამოთხის კარი!—
შესძახეს ჩუმი ხვეწნით, მუდარით.

და საიდგანლაც ხმა იღუმალი,
ქუხილის მზგავსი, მოესმათ ჩრდილებს:
—ვინ ხარ, ბნელი გზით აქ მომავალი,
ვინ მოსდგომია კურთხეულ კედლებს?

რას აკეთებდით? სად, რა ბრძოლაში
საქმე საგმირო ჩავიდენიათ;
როგორ სცხოვრობდით ძირს ქვეყანაში,
სამოთხე რითი მოგიხვეჭიათ?

და ამბობს ერთი მათგანი თრთოლვით:
—ბრძოლის სურვილი მე არ მიცენია;
განვლე სიცოცხლე ღვთის შიშში, ლოცვით,
ჩემ გულს სხვა გრძნობით არ უძგერია.

ქურუმი ვიყავ; ხალხს ვასწავლიდი
სათნოებას და ქეშმარიტებას;

კოდვილ ვნებათა ლელვას ვკიცხავდი
 და ვქადაგებდი ღვთის შორჩილებას.

მეორემა სთქვა:—ხელში მახვილით
 შემოვიარე მე მთა-და-ბარი;
 ვით ტალღამ მძღაერმა, გრგვინვით და რისხვით
 კოდვილ მიწის შვილთ დავეც თავხარი.

მეგრამ, უფალო, მხოლოდ სიმართლეს,
 ღარიბთ და ჩაგრულთ ვესარჩლებოდნი;
 არა ვზოგავდი მათთვის სიკოცხლეს,
 მახვილსაც ხელში მათთვის ვიღებდნი.

მობი

მესამეს ჰკითხავს სამოთხის მკველი:
 —შენ გზას, აქ მიაღღს, რა გინათებდა?
 ღრმა ოხვრა, მძიმე, გულის დამწველი,
 ისმის პასუხად და ჩუმად წყდება.

და შიშით, კრძალვით მესამე ჩრდილი
 ამბობს; —არ ვიცი... არ მაგონდება...
 მხოლოდ სიცივე... მხოლოდ სიმშლილი...
 ოხრად, ტიელად ქუჩაში გდება...

ირგვლივ სიჩუმე... ცა მოქუშული...
 უცხო სარკმელი... და შიგ, სინათლე...
 უცხო კარები გამოხურული,
 და ესე მთელი, მთელი სიკოცხლე.

დღე-და-ღამ ტანჯვა და მწუხარება!
 —ხომ ლოკულობდი?—არა... არ მახსოვს...
 არ ვიცი ღმერთი, ღვთის ძლიერება...
 მხოლოდ სიმშლილი ყოველ წამს და დროს.

შემიმსუბუქე ფილა მწარი,
 მაკმარე მძიმე, კრული ცხოვრება:
 გამიღე, წმიდავ, სამოთხის კარი
 და მომანიჭე მით ნეტარება!.

და საიდგანლაც სარდალს და ქურუმს
 მოესმათ ისევ ის ხმა მქუხარი:
 — ჩამოეცალეთ გზიდან უბედურს!
 და მსწრაფლ გაიღო სამოთხის კარი.

ნ—ური.





პატარა მემუსიკე



აფხული იწურებოდა. დღეები შესამჩნევად შემოკლდნენ. ადრე ბინდდებოდა. არე-მარე ერთავად ჯანლით იყო მოკული და ჭინქლავდა. წვიმის წვეთები რახა-რუხით ცვივოდა ულაზათოდ გაკეთებულ, თითქოს ახუხულავებულ ხის ფარდულის სახურავზე. დაჯანგებული რახა-კოქაკიანი კარები ხეირიანად არ იხურებოდა; კედლების ქუჭრუტანებადან ქარი თავისუფლად შემოქშუოდა. უჩარჩოო ფანჯრებიდან და ქერიდან წვიმა ჩამოდოდა. ფარდულში სინათლე ოდნავ ბეუტავდა, ისე რომ იქ მყოფნი ერთმანეთს ძლივს არჩევდნენ.

ხის გრძელ სკამზე იჯდა მთლად გათეთრებული გრძელწვერა მოხუცი; თავი ჩაეჭინდრა, საშინელი დაღლილობა ეტყობოდა; მისი განიერი მხარ-ბეჭი და კისერი ცხადად ჰმოწმობდა, რომ ის ოდესმე ჯანლონით სავსე იყო, დღეს კი თქვენ წინ იჯდა მთლად დაძაბუნებული, ილაჯ-გაწყვეტილი მოხუცი. მოქანტული მარჯვენა ხელი ძირს ჩამოეშვა, ხელში ეკავა ქამანჩა და დაღალულობისაგან ძლივს-ღა იმაგრებდა; მუხლზე ედო სკრიპკა: როგორც ეტყობოდა, ის იყო უკრავდა.

მოხუცის გვერდით იდგა წამოპირქეავეებული ბოქკა, რომელიც მაგიდის მაგიერობას უწევდა; ზედ ეწყო პური და

იღვა თიხის ლიტრა წყლით; ბოკის უკან წამოსკუპებულიყო გამხდარი, მუჭი ყავის ფერი მაიმუნი და პურს გაფაციცებით შესცქეროდა.

ბოკის მეორე მხარეს, კილობზე იჯდა შვიდი წლის ბიჭი; შშვენური, გამომეტყველი სახით შესცქეროდა მაიმუნს, ხელ-გაშვერილი ბულკს აწვდიდა და ცდილობდა ენის ტაკუნით მიეპყრო მისი ყურადღება.

— ფიფი, აქეთ მოიხედე! — დაუძახა მოთმინება-დაკარგულმა ბავშვმა.

• მაიმუნი წამოხტა. მისმა მახვილმა თვალებმა სიბნელეში კარგად ვაარჩია ბავშვი. სწრაფად მიირბინა მასთან, გამოსტაცა ლუკმა და გემრიელად გადაყლაპა.

მოხუცმა თავი მალლა აიღო.

— საშა, რად აწუწუებ მაიმუნს? ფიფის თავისი კერძი ჰქონდა, — წაილაპარაკა მოხუცმა.

— ვიცი, პაპა, მაგრამ რა ვქნა: მე რომ ქამა აღარ მინდოდა. პაპა, რატომ აღარ უკრავ? დაილაღე?

— ჰო, დავილაღე.

მოხუცი წამოდგა, სკრიპკა ლურსმანზე ჩამოჰკიდა, ერთ ადგილას გაჩერდა და ასე უძრავად იღვა დიდხანს ჩაფიქრებული.

— რა მეწყინა! რა ნაირად მიყვარს ყურის გდება, როცა შენ უკრავ, — სთქვა ბავშვმა და სიცივისაგან აკანკალებული მაიმუნი გულში ჩაიკრა. — მაშ დღეს აღარ მასწავლი?

— რა ვიცი, მინდა ახლა უფრო ხშირად გასწავლო ხოლმე. საშა, მოდი აქ, ვილაპარაკოთ.

ესა სთქვა მოხუცმა, დაჯდა ისევ თავის ადგილას და დაფიქრებული დაშტერდა ბიქს, რომელიც მის წინ მიცუცქდა.

პაპას მუხლებზე დაეყრდნო ხელებით ბავშვი და მოუთმენლად ელოდა, რას ეტყოდა იგი.



— შენ ჯერ პატარა ხარ, შეილო, მაგრამ კვების და მოხერხებული მყევხარ, — დაიწყო მოხუცმა, — ყური დამიგდე: გაამბობ, რასაც ახლა ვფიქრობდი; მომისმინე, თვითონ მიხვდები ყველაფერს.

ბიჭმა უსიტყვოდ თავი დაუქნია.

— ამ ერთი თვის წინად ჩვენ ექვსნი ვიყავით, ახლა კი მხოლოდ სამნი-ლა ვართ, ფიფიც რომ ვიანგარიშოთ. დიდი უბედურობა დაგვატება ხოლერამ. ამ ულმობელმა სენმა მოგვიკლა მამა-შენი, დედაშენი და შენი და!.. — საბრალო მოხუცს კრემლები ლაპა-ღუპით ჩამოსდიოდა დაღვრემილ სახეზე. — ვინ იცის, შეილო, კოტაოდენი შეძლება რომ გვქონოდა, იქნება სიკვდილისაგან დაგვეხსნა ისინი.

მოხუცი ერთ წამს გაჩუმდა და მერე ისევ განაგრძო:

— დიდ გაქირვებაში ვართ ახლა ჩვენ! არ ვიცი — რა გვეშველება. ხოლერაც რომ მოისპოს, მგონი მაინც არავინ შემოვა ფარდულში ჩემი სკრიპკის მოსასმენად და შენი და ფიფის სანახავად... პურის ჭამა კი გვინდა... მათხოვრობა არ მებერხება, ჩემს ღლეში არ მითხოვნია, და ამ სიბერის დროსაც არ მინდა ვიგლახო. არც შენ გირჩევ, შეილო. გადავწყვიტე სამშობლოში დაბრუნება. იქ თავს მაინც შევაფარებთ სადმე; შენც გასწავლი რამეს. ხომ ნიკიერი ბიჭუნა მყევხარ! მაგრამ ჩვენი სამშობლო, შეილო, შორს არის, ჩვენ კი საგზაო ფული არა გვაქვს... მართლა, — შეიძლება გავყიდოთ დარჩენილი ტანისამოსი და ფიფი...

— ფიფი გავყიდოთ?! არა, არა, ეგ არ შეიძლება! — წამოიძახა შეშინებულმა საშამ. მაიმუნს რომ შემოესმა თავისი სახელი, მიიბრინა ბავშვთან და ელვის სისწრაფით შეახტა ზურგზე.

— ძვირფასო პაპა, ნუ გაპყიდი ფიფის! — კრემლ-მორეული ეხვეწებოდა საშამ.

— მანამდის კი, — განაგრძობდა პაპა ისევ იმ კილოთი, თითქოს საშას კრემლებს ვერც-კი ამჩნევდა, — შეგვიძლია მოვ-

ნახოთ მუსიკოსთა დასი და ვთხოვოთ ჩვენც მიგვიღონ... ვინ იცის, იქნება მოვეწონოთ. კარგია: როგორმე თავს ვირჩინოთ გაზაფხულამდის.

საშამ თანაგრძნობით დაუქნია თავი.

— ჰო, პაპა, მოენახოთ დასი.—მზიარულად უპასუხა მან.—ფიფიმ სხვა-და-სხვა მისხარაობა იცის; მეც კიდევ ვისწავლი რამეს.

— საბრალო ბიჭუნა! სხვასთან სწავლა სულ სხვაა; თავისიანთან ისე ვერ ისწავლი.

• მოხუცმა ღრმად ამოიოხრა, ბავშვის მხარზე ხელი დააპრდნო და მწარედ წაილაპარაკა:

— შენ ახლა წერა-კითხვას სკოლაში უნდა სწავლობდე.

— სკოლაში არა, პაპა! მერე იქ ვინ მასწავლის სკრიპკაზე დაკვრას? შენთან უნდა ვისწავლო; შენ უნდა მასწავლო, პაპა... სკოლაში ავგული მასწავლებლები არიან; მეტად მოსაწყენიც არის მთელი დღე ერთ ადგილას ჯდომა.

— ცოტა მოვითმინოთ!.. ღმერთი მოწყალეა.

— მოენახოთ მუსიკოსთა დასი, —გააწყვეტინა სიტყვა საშამ:—ხვალევე წავიდეთ აქედან. არა, პაპა?

— ღმერთო, მოგვხედე!—ამოოხვრით სთქვა მოხუცმა და ჩალაზე მიწვა.

საშამ მიწვა ჩალაზე და რამდენიმე წამის შემდეგ ხვრინვა ამოღწეა.

მაიმუნი საშამს ფეხებთან მოიკუნტა, ძონძებში გაეხვია და იმანაც დაიძინა.

მარტო მოხუცს არ ეძინა, რადგან მწარე ფიქრები არ ასვენებდნენ.

II

დადგა მშვენიერი გაზაფხული. დედამიწა მწვანით შეიმოსა. პაერში დატრიალდა ყვავილებისა და ბალახების ცხო-

ველმოყოფელი სურნელები; ფრინველები მზიარულად ჭიკჭიკობდნენ და ხის ტოტებზე დაფრთხილობდნენ.

ბავშვები და მოხუცები, მთელ ზამთარს ოთახში ჯდომით გაბეზრებულები, ეშურებოდნენ კარზე გამოსვლას: მსურდათ თავისუფლად ესუნთქათ სუფთა ჰაერი და გამთბარიყვნენ ბრწყინვალე მზის შუქზე.

ქალაქის შესავალ კარებთან, ამწვანებულ მდელოზე წყნარად დასვირობდა ორი მოხუცი ადამიანი. ამ ორი წლის წინად მოვიდნენ ეს მოხუცები ამ ქალაქში; წინად ესენი ცხოვრობდნენ ერთ დიდ ქალაქში, სადაც ბატონ ბარტელსს ჰქონდა სახელ-განთქმული ფეხსაცმელის სახელოსნო. მოულოდნელმა უბედურობამ აიძულა იგი დაენებებინა თავი საყვარელ ხელობისათვის: უდროოდ თვალთ დააკლდა; ძალაუნებურად მიატოვა სახელესნო და წაეიდა დასასვენებლად კოლის მამულში, სადაც მის კოლს პატარა საკუთარი სახლი ჰქონდა; სახელოსნო კი უფროს შვილს ჩააბარა.

მოხუცებს არაფერი აწუხებდათ: არხვინად დასვირობდნენ მწვანეზე; მუსაიფობდნენ შვილებზე, შვილიშვილებზე; კმაყოფილნი იყვნენ ბედისა, ღმერთს მადლობას სწირავდნენ და სთხოვდნენ, რომ ყველასათვის ესე კეთილად წაემართა ხელი, რომ ყველას ეცხოვრა ისე, როგორც ისინი ცხოვრობდნენ.

ლაპარაკში გართულნი შეუმჩნევლად გავიდნენ ქალაქის მოედანზე, სადაც გამართული იყო ქოხები, ფარდულები, ილაჩუყები იარმუკობისათვის. ერთ ფარდულს რომ ჩაუარეს, შემოესმათ ბავშვის საშინელი ყვირილი და იმ წამსვე დაინახეს, როგორ გამოავარდა პერანგის ამარა პატარა ბიჭი უკანა კარებიდან; ბავშვი გადარეულივით მირბოდა; უცებ დაეჯახა ქალბატონ ბარტელსს და კინალამ წააქცია.

თავზარ-დაცემელმა ქალბატონმა ბარტელსმა შენიშნა ბიჭის სახეზე სისხლი. გულგახეთქილი ბავშვი უაზროდ აცეცებდა თვალებს გარშემო.

სისხლში მოსერილი პერანგი ცხადად მოწმობდა, რა სასტიკად მოჰპყრობოდნენ უბედურ ბავშვს.

კაცთმოყვარე კოლქმარ ბარტელსებს მეტად უყვარდათ ბავშვები. ამ სანახაობამ ძლიერ აღელვა ისინი და თანაგრძნობით ეკითხებოდნენ ბავშვს—რა დაემართა; მაგრამ ბავშვმა ვერც-კი მოასწრო პასუხის მიცემა, რომ ფარდულის კარებში გამოჩნდა ვანიერ მხარ-ბეჭიანი, ქრელ-ტანისამოსში გამოწყობილი პატრონი, მათრახით ხელში, და ლანძღვა-გინებით მიმართა ბიჭს.

— გამოსწი შინისკენ, შე უქნარა! გესმის? ნუ მამოროტებ, თორემ იცოდე—არ შეგარჩენ!—გაცეცხლებული უყვიროდა იგი ბავშვს.

ბ-ნმა ბარტელსმა მოჰკიდა ხელი მტირალ ბავშვს და გასწია უცნობისკენ.

— როგორცა ვხედავ, ამას უკვე კარგად მოხვედრია,—უთხრა მან.—თქვენი შვილია?

— თქვენ რა გესაქმებათ?—უკმეხად უპასუხა ფარდულის პატრონმა.

— ყველასაც აქვს საქმე, როცა ამისთანა საზიზღრობას ვხედავს,—უპასუხა ბარტელსმა:—მით უფრო მე, როგორც ქალაქის საბჭოს წევრს...

ხმაურობაზე მალე მოგროვდა ცნობის—მოყვარე ხალხი.

— პასუხს ველი თქვენგან,—განაგრძო ბარტელსმა.

— რაო, ჩემი შვილიო?—ბუზღუნით უპასუხა ფარდულის პატრონმა.—ღმერთმა დამიფაროს მაგისთანა უქნარა ზარმაცისაგან! შარშან ესა და მასთან ერთი მოხუცი მოვიდნენ ჩემთან. გავბრიყვდი და ორივე ავიყვანე. მოხუცი კარმაგად მეჩვენა; მეგონა—გამოვიყენებდი რაშიმე; მაგრამ ისე იყო შიმშილისაგან გადალასლასებული და ჩამომხმარი, რომ სამ თვეზე თქვენი კირი წაიღო. მოკვდა, და ეს ლაწირაკი თავს მომახვია. ბიჭმა არაფრის გაკეთება არ იცის, ყველაფ-



რის ჩვენება და სწავლება მჭირდება! არა, ეგ კეთილხანა და კარგ რამეს ვერ შეითვისებს: ხეირი არ გამოვა.

ფარდულში ზარის ხმა გაისმა.

— ჰო, კმარა ყბედობა!—სთქვა ფარდულის პატრონმა, მოუხეშავად დასწია საშის სახელოს და შეათრია ფარდულში. ბავშვის სლოკინი მალე მისწყდა.

გავიდა რამდენიმე საათი. ბარტელსი თავისი მეუღლით მოსხდომოდნენ კარგ, ნოყიერ ვახშამს. დიასახლისმა უცებ დასდო ჩანგალი და სთქვა:—იმ უბედური ბავშვის საცოდაობით მადა სულ დამეკარგა; სულ თვალწინ მიდგია, ფიქრიდან არა მშორდება! რანაირად მიეცა ის უბედური! სანამ შენ პატრონს ელაპარაკებოდი, შე ვათვალისწინებდი საბრალო ბავშვს: რა გონიერი თვალეები ჰქონდა. პატრონის შიშით საბრალოს მთელ ტანში აკანკალებდა. ეტყობა—მახლობელი და ქომაგი არავინ! ჰყავს, რომ დაიფაროს მკაცრი და გულქვა ადამიანისაგან... სწორედ საშინელებაა, როცა წარმოიდგენ, რა ბედრ მოვლის ამ ბავშვს. საბრალოს გამუდმებით სცემენ, სიმშლით სულს ამოართმევენ, და ბოლოს ეგეც გაიზრდება ისეთივე სასტიკი, საზიზღარი ადამიანი, როგორც მისი აღმზრდელი!

პატრონმა ბარტელსმა თავი გაიქნია.

— სამწყუხაროა, მაგრამ რას უშველი!—შენიშნა იმან:—შველა არ შეიძლება.

— ნუ თუ არ შეიძლება, ჰენრიხ?

— შენ რასა ფიქრობ?—ჰკითხა ჰენრიხმა.

— მგონი ჩვენ შეგვიძლია ავიყვანოთ ის საბრალო ბავშვი. ვეცადოთ და აღვზარდოთ კეთილ, სინიღისიერ ადამიანად. თავს-კი ნუ იქნევ: ყური დამიგდე! გახსოვს, დღეს შვილიშვილებზე ვლაპარაკობდით და ღმერთს მადლობას ვწირავდით, რომ სიბერის დროს კმაყოფილნი და ბედნიერნი ვართ. მადლობა ღმერთს, საშვალეა არ გვაკლია:—ერთი ადამიანი რომ მოგვემატოს, არ შეეწუხებდით. ბავშვი რვა-ცხრა წლისა იქ-

ნება:—იმისი გამოკეთება კიდევ შეიძლება. ^{ქართული} ~~მეტი სიხარულით~~ ვიკისრებ მისთვის ზრუნვას; შრომას არ დავზოგავ, თუ-კი შენ დამთანხმდები.

ბატონმა ბარტელსმა თავი ჩაჰკიდა და ჩაფიქრდა. ვადა-
პრით არა უთხრა-რა, მაგრამ მისი მეუღლე უფრო თანხმობას
მოვლოდა მისგან.

III

მეორე დღეს, საღამოს, ვახშამზე ბარტელსების ოჯახ-
ში მაგიდას გარეშემო სამნი უსხდნენ. მეუღლეს წინადადება
კარგად მოიფიქრა ჰენრიხმა, ასწონ-დასწონა და დილით ყა-
ვის სმის დროს გამოუცხადა ცოლს, რომ ბავშვს მოიყვანს.
ბარტელსი გავიდა მოედანზე. წარმოდგენა ჯერ არ დაწყე-
ბულიყო: მაყურებლები მაოლოდ შუადღისას გროვდებო-
დნენ.

დიდხანს არ მოუნდა შევაქრებას ფარდულის პატრონ-
თან, რადგანაც ბავშვი ამის აზრით, მთლად ვასალი-
ხანებული იყო, მის შენახვას საზარალოდ სთვლიდა და მო-
ხარული იყო, რომ თავიდან იშორებდა. ბარტელსს სია-
მოვნებით თანხმობა გამოუცხადა; მოხუცის ქალაღებშიც
მისცა.

მოხუცის დარჩენილ ქალაღებიდან სჩანდა, რომ მას
ერქვა ივანე კარლოს ძე, გვარად შმიდტი, რომ ტომით იგი
გერმანელი იყო.

როცა მორიგდნენ, საშას დაუძახეს და გამოუცხადეს,
რომ ის უნდა წაჰყვეს ბატონ ბარტელსს და მასთან უნდა
იცხოვროს.

ბავშვს თვალები სიხარულით გაუბრწყინდა; მზია-
რულად მიიბრინა თავის მოსარჩელესთან და ნდობით მოსკიდა
ხელი.



ბარტელსი წასვლას აპირებდა. საშამ საჩქაროდ
 ლაპარაკა:

— მომითმინეთ, მე უნდა ჩემი სკრიპკა წამოვიღო და
 ფიფი წამოვიყვანო...

— სკრიპკა და მაიმუნი ჩემთან დარჩებიან, — უკმეხად უპა-
 სუნა პატრონმა. — სკრიპკა მე გამომადგება, მაიმუნი-კი — ეგ
 ერთად ერთი სასარგებლო წვერი იყო თქვენში, სამ მუქთა
 მკამელში!

— მგონი არც ჩვენთვის იყოს საკირო. რად მინდა მაი-
 მუნი? რაც შეეხება სკრიპკას, მგონი ბავშვს სხვა უფრო სა-
 ყურადღებო საქმე გამოუჩნდება, ვიდრე ამისი წრიბინი, — სთქვა
 ბარტელსმა.

ბარტელსი წასვლას აპირებდა. ბავშვმა უცებ ხელი გამოს-
 ტაცა და მეორე ოთახში შეირბინა.

წარბ-შექმუხნილი ბარტელსი გაჰყვა; მისი უკმაყოფილე-
 ბა მალე განაქარვა გულსაკლავმა სანახაობამ: საშა ჩაცუტკე-
 ბულიყო იატაკზე და ორივე ხელი მაიმუნისათვის შემოეხვია;
 იგიც შესტკეროდა გონიერი თვალებით, თითქო ადამიანი იო-
 სინი ერთმანეთს ეთხოვებოდნენ.

ერთ წამს ბარტელსი შეფიქრიანდა, უკყმანობდა, — მაიმუ-
 ნიც ვიყიდო, თუ არაო; იმან ცხადად წარმოიდგინა, თუ რა
 ძნელი იყო საშასთვის ერთად-ერთი საყვარელი არსების მო-
 შორება; მაგრამ მის გრძნობას გონებამ სძლია და ცხოვრე-
 ბაში გამოცდილი ბარტელსი შევიდა საშასთან, მოჰკიდა ხელი,
 მოაშორა მაიმუნს და გადაქრით უთხრა:

— კმარა, მოშორდი მაიმუნს: დროა წავიდეთ შინ!

კარგად ესმოდა საშას, რომ უნდა დამორჩილებოდა ახალ
 პატრონს და გაჰყვა, ცხარე კრემლით მტირალი.

ახალმა გარემოებამ და ცხოვრებამ საშა თითქოს გაართო,
 დაავიწყა დროებით თავისი დარდი.

საშა ცნობისმოყვარეობით იყურებოდა აქეთ-იქით, სინ-
 ჯავდა მისთვის საგანგებოდ მორთულ ოთახს. სადაც ყველა-

ფერი მოსწონდა, იჯდა მაგიდასთან და მადიანად შევეცდებოდა გემრიელ საკმელებს, რომელსაც ამხადებდა ქალბატონი ბარტელსი. იგი დედობრივი მზრუნველობით უვლიდა მას. საწოლ ოთახში რომ შეიყვანეს, დაინახა სუფთა ლოგინი, გაქათქათებულ ზეწარ-გადაფარებული, მშვენიერი ტანისამოსი. ყველა ეს ესიაზოვნა და გაეხარდა საბრალო ბავშვს; ისე ეჩვენა, თითქოს პირველად ჰხედავს თავის სიცოცხლეშიო. ამ სანახაობით გახარებულს ტკბილ ფიქრებში ჩაეძინა და ძილშიც კი კრთოდა მის ტუჩებზე ბედნიერების და სიამის ღიმი.

მთელი ორი კვირის განმავლობაში საშა ბედნიერად გრძნობდა თავს. კარგ ვარემოებაში ყოფნამ და ხელის შესწობამ ძალიან გამოაკეთა: ლოყები წითლად დაებრაწა. მოხუცებულების სიხარულს საღზვარი არა ჰქონდა, საშას რომ ჰხედავდნენ ასე გაკეთებულს. მხოლოდ ერთი რამ აწუხებდათ: საშას შორჯულება უნდოდათ, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ხეტიალის წანწალის დროს შეთვისებული ცუდი ჩვეულება უკუეგდო.

დრო განაწილებული ჰქონდათ საათობით. მათ სახლში მუდამ სიმშვიდე იყო. თვითონ ბატონი ბარტელსი სასტიკად იცავდა წეს-რიგს: ყველას თავისი საქმე უნდა ჰქონოდა. თავისუფლად და უწესრიგოდ აღზრდილ საშასთვის ეს მეტად ძნელი იყო. ორი კვირის უკან საშა გაგზავნეს სკოლაში. აი, ახლა დაუდგა მას მძიმე დრო.

საშას ტოლი ბიჭები უკვე ორი-სამი წელიწადი იყო, რაც სკოლაში სწავლობდნენ. მან კი ჯერ წერა-კითხვაც არ იცოდა.

მასწავლებელმა საშა პირველ მოსამზადებელ განყოფილებაში დასვა, სადაც მასზე მომცრო ტანის ბავშვები ისხდნენ. როცა ამხანაგებმა გაიგეს, რომ მან კითხვა არ იცის, მასხარად აიგვებს და მეტ სახელად ჩოკინა დაარქვეს.

თავისუფლად აღზრდილ ბავშვისთვის მეტად ძნელი იყო ახლა სკოლის წეს-რიგის შეთვისება: მთელი საათობით ჩუ-



მად ჯდომა სკამზე, მასწავლებლისათვის ყურის გდებმა, მისი ნალაპარაკების დამახსოვრება და დაფაზე დახატულ რალაც საკვირველ ხაზების გარჩევა, — ყველა ეს საშასათვის დიდი სასჯელი იყო. ყურის გდების მაგივრად ის ხშირად თავის ფიქრებს ეძლეოდა. ფიქრობდა წარსულზე, როცა მისი დედ-მამა და პაპა ცოცხლები იყვნენ და მათი ცხოვრება მზიარულად მიმდინარეობდა. ფიქრში გართულ საშას უცებ მასწავლებელი ჰკითხავდა რამეს. საშა დაფანტულივით შეუფერებელ პასუხს აძლევდა, ან და დანაღვლიანებული, გაჩუმებული იდგა. მასწავლებელი უჯავრდებოდა გულმავიწყობისათვის, ამხანაგები დასცინოდნენ, და საწყალი ბავშვი აბუჩად აგდებული იყო სკოლაში.

საშა რომ სკოლაში კარგად ვერ მეცადინებოდა, ეს იცოდნენ მისმა აღმზრდელებმა, და ეს გარემოება მეტად აღონებდათ. ძალიან ჯავრობდა ბატონი ბარტელსი, როცა საშა გვიან მოდიოდა სკოლიდან. ასეთ საქციელს საშას უწესრიგობას აწერდა, მაგრამ აქ სულ სხვა რამ მიზეზი იყო.

სკოლის ახლო მოთავსებული იყო ყაზარმები და თითქმის ყოველ დღე იქ სამხედრო მუსიკას უკრავდნენ, სწორედ იმ დროს, როცა მოწაფეები სკოლიდან სახლში ბრუნდებოდნენ. გაიგონებდა თუ არა საშა მუსიკის ხმას, ივიწყებდა სკოლასა და მოხუც აღმზრდელებს, რომლებიც მას სადილად ელოდნენ. შურის თვალით შესცქეროდა იგი სამხედრო ორკესტრში პატარა ბავშვებს, რომლებიც სხვა-და-სხვა საკრავებზე უკრავდნენ, და შექნატროდა მათ.

გახსენდებოდა ხოლმე საშას განსვენებული პაპა, რომელიც გულმოდგინედ და სიყვარულით ასწავლიდა სკრიპკაზე დაკვრას, და ამ მოგონებაზედ გულში ისეთ საშინელ ტკივილს გრძობდა, რომ მზად იყო იმ წამსვე მიეტოვებინა თავისი მფარველი მოხუცები და გაქცეულიყო იმ საზიზღარ ფარდულის პატრონთან, რომლისგანაც ისე დაიტანჯა.

საწყალ ბავშვს ეგონა, რომ პაპას სკრიპკისა და ფიფის დანახვაზე ნაღველი შეუშუსუბუქდებოდა, რომ იმ მიტოვებულ მეგობრებთან ისეთ სულის მარტოობას და ობლობას ველარ იგრძნობდა. ოპ, პაპას სკრიპკაზე დაკვრის ნება რომ მისცენ!.. აგონდებოდა პაპას საყვარელი სიმღერები, რომელსაც თვალ-ცრემლიანი გატაცებით ყურს უგდებდა.

მუსიკით გატაცებული საშა ყოველ-დღე იგვიანებდა სადღიად. ბარტელსი უჯავრდებოდა და ეუბნებოდა:—თოკზე მოსიარულე ჯამბაზი მართაღს ამბობდა, რომ შენისთანა ჯიუტ და ზარმაც ბავშვისაგან ხერირი არ იქნებაო. კეთილი ქალბატონი ბარტელსი-კი ამშვიდებდა ქმარს, არწმუნებდა, რომ საშასთვის, უპატრონოდ და უყურადღებოთ აღზრდილ ბავშვისათვის ძნელი იყო ყველაფრის ერთბაშად შეთვისება.

ფიქრადაც არ მოსვლიათ მოხუცებს, რომ ბავშვის ჯიუტობა და უგონობა აქ არაფერ შუაში იყო,—ბავშვს გატაცებით უყვარდა მუსიკა, მუსიკა მისთვის ყველაფერი იყო.

ქალბატონმა ბარტელსმა შეამჩნია, რომ ბავშვს დღე-დღე მოწყენილობა ეუფლებოდა: სულ გაჩუმებული იყო, მადა დაეკარგა და აშფოთებული მოხუცის შეკითხვაზე ერთსა და იმავე პასუხს აძლევდა:

— არ ვიციო...

ბოლოს საბრალო ბავშვმა ველარ მოითმინა, დაემხო ქალბატონ ბარტელსის მხარზე და ტირილით წამოიძახა:

— მოწყენილი ვარ... მინდა, მინდა ჩემი ფიფი და პაპას სკრიპკა!..

— ბავშვს სათამაშოები უნდა!—იფიქრა კეთილმა მოხუცმა:— ის ხომ ჯერ პატარაა...

იმ დღესვე უყიდა საშას სათამაშო ცხენი.

ბავშვს თითქო გაეხარდა. პირველ ხანს ჰკაზმავდა და ხდიდა მოსართავს, მაგრამ მალე ისიც მოსწყინდა.

— რატომ არ თამაშობ?—ჰკითხა ქალბატონმა ბარტელსმა.



— ეგ ხომ ცოცხალი არ არის!— მიუგო მწუხარებით ბავშვმა.— სრულებით არ მიცნობს და არაფერს მიგონებს.

მოხუცმა მხრები აიჩქა: მეტად შეებრაღა საწყალი ბავშვი.

საშა სულ მოწყენილი და დარდიანი იყო; მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდებოდა ხოლმე, როცა მუსიკა ესმოდა, ან კიდევ როცა მოხუცი წაიყვანდნენ ხოლმე ქალაქის განაპირა ქაღებში სასეირნოდ. იქ ის სიამოვნებით უგდებდა ყურს ფრინველთა კიკიკისა და გალობას, ცდილობდა მათ ხმებში ეპოვნა ის მშობლური, ნაცნობი ხმა, რომელიც ესმოდა ხოლმე როცა პაპა სკრიპკაზე უკრავდა. დღითი-დღე საშას გულში მწუხარება იზრდებოდა; საშინელი დაუდევარი გახდა. მასწავლებელიც უჩიოდა. მოხუცებს არ ესმოდათ ბავშვის ნამდილი სულის კვეთება. სიზმარმაცისა და დაუდევრობისათვის აძლევდნენ შენიშვნას და უმადურობას უკიბნიებდნენ.

დადგა ენკენისთვე. ერთ კვირა დღეს ბატონმა ბარტელსმა სადილზე სთქვა, რომ პოლიციამ გადასწყვიტა გააცილოს საზღვრამდენს ბრმა მოხუცი მემუსიკე, ტომით პოლონელი, რომელსაც გზის მაჩვენებელი ამხანაგი გააპარვია. გადაწყვეტილია ხვალ გაისტუმრონო. ქალბატონმა ბარტელსმა ყურადღებით, დაწვრილებით გამოჰკითხა ყველაფერი მოხუცის შესახებ. ქმარმა აუწერა ვარგუნობა, მისი მიმოხვრა ლაპარაკის დროს, და სხვა... საშა სულ-განაბული, გულის ფანქალით უგდებდა ყურს ამ ამბავს: მოგჩვენა, თითქო იმის პაპაზე ლაპარაკობდნენ; ცოცხლად წარმოუდგა მისი სახე.

— მინდა ვნახო ის მოხუცი; სად არის ახლა?— საჩქაროდ წამოიძახა ბავშვმა.

— ძალიან საჭიროა ნახო ვიღაცა მაწანწალა! ისა სჯობია ვაკვეთილებზე იფიქრო!— უთხრა ბარტელსმა.

საშა გაჩუმდა, მაგრამ მოხუცზე ფიქრი არ ასვენებდა.

უბედური მოხუცი ბრმა ყოფილა. პაპას რომ მოსვლოდა მაგისტანა უბედურება? რომ დაჰკარგოდა ამხანაგი და მარტო უმწეოდ ეწანწალა?..

მოხუცის მიმართ ღრმა სიბრაღელობა გაიღვიძა საშას გულში და გადასწყვიტა ეშველა მისთვის. პაპას მზგავესი მოხუცის სახე აჩრდილივით თან დასდევდა ბავშვს. ჰხედავდა გზა-დაბნეულ, ბრმა მოხუცს, რომელიც სკრიპკით ხელში დაწანწალობს უგზო-უკვლოდ და ეძებს თავშესაფარს.

დალამდა. პირველად თავის სიცოცხლეში ძილი გაუკრთა, არ დაეძინა ბავშვს.

ღმერთო, შეიბრაღე საწყალი მოხუციო!

ბავშვს თანდათან მოუსვენრობა ეტყობოდა, ტრიალებდა ლოგინში: მოხუცი, რომელიც თავის ღლეში არ ენახა, უცებ მისთვის ისეთი ძვირფასი შეიქნა, როგორც მისი განსვენებული პაპა! რა სიხარულით გაჰყვებოდა მოხუცს გზის მაჩვენებლად, ისწავლიდა მისგან სკრიპკაზე დაკვრას და სიმღერას, იმ გულდამწველ ხმებს, რომელსაც ისე კარგად უკრავდა მოხუცებული პაპა.

ღამის ორი საათი იყო. საშამ ვერ მოისვენა. გადასწყვიტა წასვლა მოხუცთან და მისი შევლა. ამ გადაწყვეტილების შემდეგ ის ნელა ადგა და ტანთ ჩაცმა დაიწყო.

საკვირაო ტანისამოსი, ქალბატონ ბარტელისაგან მომზადებული, იქვე სკამზე იდო; მაგრამ საშამ ჩვეულებრივი ტანისამოსი ჩაიცვა. ფეხსაცმელები ხელში აიღო და ფეხაკრეფით გარედ გამოვიდა.

მისი ოთახის კარები ეზოში გამოდიოდა; ეზოს ხის მესერი ჰქონდა შემოვლებული.

ბავშმა ფრთხილად ასწია რახას, გააღო ქიშკარი და გავიდა ქუჩაში. სიბნელე და მარტოობა სულ არ აშინებდა; პირიქით დიდი სიხარული იგრძნო, როცა შარა გზაზე გავიდა.

გარეშემო მთვარე ჯერ არ ამოსულიყო; სიჩუმე სუფევდა; ცაზე ვარსკვლავები ბრწყინავდნენ და უნათებდნენ საშას ვხას. ქალაქის განაპირას, ერთი საათის სავალზე, შარა გზის პირად იდგა სასტუმრო „სახლვარი.“

ბარტელსები ორჯელ იყვნენ ზაფხულში ამ სასტუმროში; საშაც თან ჰყავდათ; სეირნობის შემდეგ იქ ისვენებდნენ და სვამდნენ ყავას. მოხუცი მემუსიკე ამ გზას არ ასცდებოდა.

საშამ მიიხედ-მოიხედა. მისმა მახვილმა თვალებმა შეამჩნია ფარდული სასტუმროს ახლო, სწრაფად იბოგა კარები, შეძვრა შიგ და გაიშოთა ცივ იატაკზე, სადაც სამეურნეო იარაღი ელაგა.

საშინლად უცემდა საშას გული; სახლიდან მისი გამოპარვა ისე უცებ მოხდა, რომ თვითონაც ვერ გამოკვებულყო; ახლა კი შიშმა აიტანა:

— რომ მომავლი და უკანვე დამაბრუნონ? ოჰ, არა, — ეს არ შეიძლება! საშას არ უნდოდა უკან დაბრუნება, ხელახლად სკოლაში სიარული, პატარა ამხანაგებისაგან დაცინვა. მერე მოხუცი... რა ეშველება, თუ არ დაეხმარება?... ის გაპყვება მოხუცს, — წაელენ ერთად შორ ქვეყნებში... ვინ იცის: იქნება სადმე თავისი საყვარელი „ფიფიც“ ნახოს. ოჰ, რა კარგი იქნება, მოხუცმა რომ სკრიპკაზე დაკვრის ნება მისცეს...

ამ ფიქრებში პატარა ბიჭს ჩაეძინა. სასტუმროში უკანასკნელი სინათლე ჩააქრეს და გარეშემო სიბნელე გამეფდა.

IV

მამლის ყივილმა დილა-ადრიანად გააღვიძა საშა. იგი წამოხტა საჩქაროდ, ტანისამოსი გაისწორა, გამოვიდა ფარდულიდან, მიიხედ-მოიხედა და მეტად გაეხარდა, როცა გარე-

შემო არავინ იყო. შიმშილი აწუხებდა, მაგრამ მოწყალე-
ბის თხოვნას არ აპირებდა.

შარა გზის მახლობლად ტყე იყო. საშამ სირბილით გა-
სწია ტყისკენ; იქ მწიფე ხილი ბლომად ნახა; ჯიბიდან ამო-
იღო დარჩენილი შავი პურის ნატეხი. რომელსაც ქათმებისა-
თვის ინახავდა. ისაუბმა. დრო შეუძწნევლად გადიოდა. მალე
გზაზე გამოჩნდნენ მგზავრები, ქვევითი და ცხენოსნები.

საშამ უცებ წამოხტა და გახარებულმა შეჰყვირა. იმან
დაინახა ის, ვისაც ასე მოუთმენელად ელოდა. სიხარულისა-
გან ლოყები აუწითლდა, თვალები გაუგანიერდა; გულის
ფანქვლით შესცქეროდა გზის პირად ნელ-ნელა მომავალ
ადამიანს.

ეს იყო მხარ-ბექ-განიერი, ჩასხმული, ქალარა თეთრ-წვერა
მოხუცი; გრძელი წვერი გულზე სცემდა.

— ეს რა არის? ნუ თუ პაპა გაცოცხლდა? მაგრამ, რაც
უფრო უახლოვდებოდა მოხუცს, იმდენად უფრო ნათლად
ამჩნევდა პაპისა და მის შორის განსხვავებას.

მოხუცს მალა აელო თავი, როგორც საზოგადოდ
ბრმებმა იციან სიარულის დროს, ჯოხს აბჯენდა, იმით იკე-
ლევდა გზას და ტორტმანით მოდიოდა.

ჯოხის თავზე ეკიდა პატარა პარკუქანა. მარცხენა ხელში
ბრმას რალაც შეხვეული ნიეთი ეჭირა.

მოხუცის გამყოლი თანდარმი სასტუმროში შევიდა; მო-
ხუცი მარტო დარჩა; გადმოდგა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი,
შიაგნო და ჩამოჯდა სკამზე, რომელიც სწორედ საშას პირდა-
პირ იდგა; გვერდზე მოიღო ჯოხი და შეხვეული ნიეთი.

საშამ მაშინვე მიხვდა, რომ ეს უძველესად სკრიპკა იქ-
ნებოდა. მაშასადამე ეს ის მოხუცი მემუსიკეა, რომელზედაც
იყო ლაპარაკი გუშინ, ბარტელსის ოჯახში.

ბავშვი გაბედულად მივიდა მოხუცთან და მკვირცხლად
ჰკითხა:



— გამყოლი, ან ბარგის მზიდველი კაცი ხომ არ გრიიათ?

მობუცმა ყურადღებით მოისმინა ნათქვამი, მაგრამ მალე არ მისცა პასუხი.

— ვინა ხარ შენ? იქნება გგონია, რომ მე დიდი ბარგი მაქვს? დამშვიდდი: მე არაფერი გამაჩნია! — უპასუხა მობუცმა.

— მე არაფერი არა მგონია, და არაფერი მინდა! — უპასუხა საშამი: — მხოლოდ პური მაქამეთ; მოგებმარებით, და ვზიდავ თქვენ პარკუჭანასა და სკრიპკას.

— შენ რა იცი, რომ ეს სკრიპკაა? — ეჭვით შეეკითხა მობუცი და ხელი დაადო შეხვეულ ნივთს.

— მაშინათვე შევატყვე, რომ სკრიპკაა, — სიცილით უპასუხა ბავშვმა: — პაპა-ჩემიც უკრავდა სკრიპკაზე; ცოტა დაკვრა მეც ვიცი!

— ჰა, მაშ აგრეთა! მერე შენ ვინა ხარ? შენი დედ-მამა ვინაა? — აღბად გამოექვეცი იმათ?

— მე ობოლი ვარ. თან წამიყვანეთ.

მობუცი ერთ წამს შეყოყმანდა.

— კარგი, — უპასუხა მობუცმა: — ენახოთ, წაგიყვან. შენ მე უნდა მატარო; მაგრამ გიცხადებ: მე სმენა ძალიან კარგი მაქვს, ფეხებშიაც ძალა შემწევს. თუ მოინდომებ გაპარვას, იცოდე — უეჭველად დაგიქერ.

მორიდდნენ; პირობა შეჰკრეს. მობუცი წამოდგა და პირველი ყოლაოზის გამოუთხოვნელად გასწია გზისკენ.

ბავშვმა ხელახლა დაიწყო ქუჩა-ქუჩა წანწალი. შემოდგომაზე მობუცი და ბავშვი სოფელ-სოფელ დაწანწალებდნენ; ზამთარში-ცი ქალაქებში დახეტიალობდნენ.

შიშშილ-წყურვილმა და უბინაოდ წანწალმა არაფერი ცუდი გავლენა არ იქონია ბავშვის ჯანმრთელობაზე; პატარა არტისტის გული ილტვოდა თავისუფლებისაკენ; იგი სტებ-ბოდა ბუნების სიმშვენიერით და სულით და გულით ეწაფებოდა მუსიკას.

მოხუცი სტანილაგ ვანდუში, რომელსაც თანამგზავრად ასდევნებოდა საშა, ტომით პოლონელი იყო; ახალგაზღობისას ბევრი ესწავლა, პოზნანის საოპერო დასის ორკესტრში დამკვრელად ყოფილა; მაგრამ უბედურობა სწვევია: დაბრმავებულია.

პირველ ხანში დიდ დახმარებას უწევდა კეთილი ხალხი, მაგრამ თან-და-თან იმათაც მიიღწევს უსინათლო მემუსიკე; მაშინ იგი გაემგზავრა სამშობლოში.

მოხუცს, სამგზავროდ, ამხანაგებმა გამოატანეს ფული და სანოვიაგე; მაგრამ უსინიდისო ხალხმა ისარგებლა მისი უმწეობით: მოჰპარეს ფული, თეთრეული და ტანისამოსი.

ვანდუში დარჩა უმოწყალო, უმწეო, უცხო ქვეყანაში; იძულებული იყო თავის სამშობლომდის ფეხით ეხეტიალა, თან გზა-და-გზა ემათხოვრა, სკრიპკის დახმარებით. ყოლაოზად და თანამგზავრად იშოვნა ერთი პატარა ბიჭი; მაგრამ, საუბედუროდ, ამ ბიჭმაც გაჰქურდა და გაექცა.

ამიტომაც მოხუცი პირველ ხანებში საშასაც უნდობლიად მოექცა; მაგრამ, როდესაც გაიცნო საშას კეთილი გული, მისი ნიჭი და მუსიკის სიყვარული, მაშინ-კი გამოიცვალა აზრი და, პირიქით, კიდევ შეიყვარა თავისი ყოლაოზი.

მოხუცი სიამოვნებით ასწავლიდა საშას სკრიპკაზე დაკვრას. პირველ გაკვეთილიდანვე გასაოცარი ნიჭი ეტყობოდა.

ამას გარდა ვანდუშმა საშას გალობა ასწავლა. საშას წმინდა, წკრიალა ხმა და მხიარული, სიცოცხლით სავსე სახე ბევრ ხალხს იზიდავდა, ასიამოვნებდა.

საშას ყველაზე მეტად უყვარდა მუსიკის გაკვეთილები. მოხუცის სკრიპკა პაპას სკრიპკაზე გაცილებით უკეთესი გამოდგა. გულმოდგინედ უგდებდა ყურს საშა საყვარელ ხმებს და უდიდეს ბედნიერებად სთვლიდა იმ წამს, როცა იღებდა ხელში სკრიპკას დასაკვრელად.

ვანდუშის ლაპარაკიც ძალიან მოსწონდა საშას, რადგან თითქმის იმ კილოზე ლაპარაკობდა, როგორც მისი პაპა; მო-



ხუცი ლაპარაკობდა გერმანულად, მაგრამ როცა გაჯავრებული იყო—პოლონურად ლაპარაკობდა, და აი მაშინ ისე ჰგავდა საშას პაპას, თითქოს საყვარელი ადამიანი თვალწინ უდგასო.

ვანდუში არ უმხელდა საშას, რომ უყვარდა იგი; მაგრამ საშა ამას კარგადა გრძნობდა.

სიყვარული ბავშვისთვის ისე საჭირო იყო, როგორც სინათლე და ჰაერი.

V

იანვარში ძლივს შიადწივს ქ. ვარშეიას. აქედან ვანდუშის სამშობლო ქალაქამდის ერთი დღის სავალი-ლა იყო. აპირებდნენ იქ ეტლით წასვლას, რისთვისაც ფული წინდაწინვე ჰქონდათ წავარაუდვეი.

იანვრის სუსხიანი ყინვები იყო; გზები და ბილიკები თოვლით იყო დაფარული. ყინვისაგან შექარბლული ხეები მზეზე ბკყვრიალებდნენ. ვანდუში ფიქრობდა—ორიოდე დღეს დავრჩები ვარშეიაში, და ჩემი კარგი ნაცნობის შემწეობით ვეგებ გავირიგო ადგილი საეკლესიო გუნდშიო. თუ უსინათლობა დაუშლიდა, მაშინ სხვა ადგილის ძებნას შეუდგებოდა, მაგალითად დაუკრავდა სკრიპკას ან საცეკვაო სალამოებზე, ან ოჯახებში.

თუ ბედი გაუღიმებდა და გახდებოდა რასმე, მაშინ წავიდოდა ძმის სანახავად და საშასთან ერთად უკან დაბრუნდებოდა.

მაგრამ ვანდუშის ფიქრი სულ ოცნებად დარჩა: მეორე დღესვე გაიგო, რომ მისი ძველი მეგობარი ვარშეიაში აღარ ყოფილიყო.

ამბების გასაგებად სიარულის დროს ვანდუში გაცივდა: ბინაზე დაბრუნებისას ისე საშინლად გააცივა, რომ ლოგინად ჩავარდა და ერთ კვირამდის იწვა. ხელის კანკალით მისწერა

ძმას წერილი, შეატყობინა თავისი ვარშავაში ყოფნა და გაქირვება; მაგრამ პასუხი არ მოუვიდა. დიდ გაქირვებაში ჩავარდნენ: რაც ფული ჰქონდათ—შემოეხარჯათ, ვარშავაში კი არც ერთი ნაცნობი არა ჰყავდათ.

ვანდუშმა სცადა აღგომა, მაგრამ საშინელმა ტკივილებმა მეტად შეაწუხა: განძრევის თავიც არა ჰქონდა. მეტად შესწუხდა უბედური მოხუცი; უიმედობა ეუფლა; მწარედ დასტიროდა თავის უპატრონობას, უმწეობას და შესთხოვდა ღმერთს მალე მიეზარა მისი სული.

მოხუცის ცრემლებმა მეტად დააღონა საშა.—ნუ სტირი, პაპა!—თანაგრძნობით უთხრა ბავშვმა: —აკი შენ თვითონ ბევრჯერ შეტყობდი ხოლმე, რომ ღვთის მორწმუნე ადამიანს ღმერთი არ გასწირავსო! გულს ნუ გაიტეხთ. ნება მიბოძეთ თქვენი სკრიპკით გავიდეთ ქუჩაში: შემიძლია დაუკრა და დავმღერო კიდევ; წავიღებ, დაუკრავ ყველა სახლის წინ; თუ ჩემ სიმღერას ქუჩაში არავინ ყურს არ დაუგდებს, მაშინ გულდაგულ ოთახებში შევალ და იქ დაუკრავ. ჩემ ხმაზე თუ გამოვა ვინმე, უჩუმრად გაუწოდებ ჩემ სამათხოვრო ფიალას. ეს ხომ მოწყალების თხოვნას არ ნიშნავს? იმედო მაქვს ვიშოვნო რამეს...

მოხუცს უსინათლო თვალები ცრემლებით ავესო.

—ღმერთმა შთაგაგონა ეგ, ჩემო ძვირფასო ბიჭუნა!—წარმოსთქვა მოხუცმა:—წადი, შეასრულე, რაცა სთქვი. მე გზას გილოცავ.

მადლიანმა მოხუცმა დაადო ხელი ბავშვს ხუჭუქა თავზე, დალოცა და პირჯვარი გადასწერა. საშამ თავზე ჩამოიფხატა ქუდი, ჩამოიღო სკრიპკა და გავიდა ოთახიდან.

საშინელი ყინვა იყო. ჩრდილოეთის ცივი ქარი უბერავდა და თოვლს ჰაერში ატრიალებდა. ყინვა-სიცივეს და გაქირვებას მიჩვეული ვერც-კი გრძნობდა სიცივეს თბილ შალის ტანსაცმელში; მაგრამ ხელები-კი მთლად გაულურჯ-



და ყინვისაგან. რამდენადაც შეეძლო, იმაღავდა სახელოებში. სასტუმრო, სადაც ბინა ჰქონდა ვანდუშს, ქალაქის განაპირას იყო. ბევრი ქუჩის გავლა დასჭირდა საშას, სანამ მიალწვედა ქალაქის იმ ნაწილს, სადაც შეძლებული ხალხი იდგა, რამდენიმე სართულიან მშვენიერ ქვიტკირის სახლებში.

სიარულის დროს საშა თვალყურს ადევნებდა ქუჩებს, რომ გზა არ დაჰკარგოდა. მალე მივიდა მოედანზე. აქ დაიწყო სახლების წინ დაკვრა და მღერა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ამნაირად ვერაფერს გახდებოდა.

არც ერთი ფანჯარა არ გაიღო, არავინ გადმოიხედა; არც გამვლელ-გამომვლელი აქცევდა ყურადღებას. ყინვისაგან შეშინებულები, ყველანი ეშურებოდნენ სახლებისაკენ; ასე გასინჯეთ სიცივისაგან ძაღლებიც-კი აღარ ჰყეფდნენ და სულ-განაბულნი და მოძუძგულნი თბილ ალაგს ეძებდნენ.

საშას ხელები უფრო და უფრო ეყინებოდა, ეშინოდა,— ვაი თუ სკრიპკის დაქვრა და დაკვრა ველარ შევძლოო. გადასწყვიტა პირდაპირ სახლებში შესვლა. აქ მეტი სარგებლობა ნახა საშამ; თუმცა ზოგიერთ ოჯახში ფულის მაგიერ ლანძღვითა და მუჯღუგუნებით უმასპინძლებოდნენ, მაგრამ ზოგან-კი ფაილაში ჩაუწყრივადებდნენ ხოლმე წვრილ ფულს.

შუადღისას საშა მივიდა ერთ ლამაზ სასახლესთან, რომელიც წინადაც ჰქონდა შეთვლიერებული. საშას არა—ერთხელ უნახავს. რომ სასახლის კარებთან მიგრივადებოდნენ ეტლები; დღეს-კი ერთ მხარეს იყვნენ ჩამწყრივებულნი. საშამ გადასწყვიტა შესულიყო ღია კარებში.

მის ბედზე სასახლის ტალანში არც ერთი კარის კაცი არ დახვდა: ბავშვს მითი უფრო ეშინოდა, ვიდრე ბატონისა, რადგან ისინი უფრო ბრიყულად ექცეოდნენ საწყლებს.

ბავშვი შეკრთა, როდესაც მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რა დიდებულ შენობაში ამოჰყო თავი, ყოყმანობდა,—ვიმღერო, თუ არაო.

ამ დროს საშას საკვარველი ხმები შემოტყდებოდა, მისი ხმები იყო, მაგრამ ისეთი ძლიერი და ტკბილი, როგორც საშას თავის დღეში არა ჰსმენია.

საშას ყველაფერი დაავიწყდა: იღვა გატაცებული; მერე ფეხ-აქრფით მივიდა კარებთან, საიდანაც დაკვრა ისმოდა, მიადო ყური და სმენად გადაიქცა.

უცებ მან იგრძნო, რომ ვიღამაც უკანიდან მაგრა ჩასკიდა ხელი საყელოში; ბავშვი უცებ მოტრიალდა და გამხეცებული მსახურის სახე დაინახა.

— მალე დაიკარგე აქედან! — წაილაპარაკა გულმოსულმა კაცმა.

მუსიკის სმენით გატაცებული საშა გაუგებრად შესცქეროდა მსახურს და ადგილიდან არ იძროდა.

მსახურმა ბრიყულად ჰკრა ხელი ოცნებით გატაცებულ ბავშს. საშამ თავი ველარ შეიმაგრა და კარებს დაეჯახა. სკრიპკა და კალის ფიალა ძირს დაუვარდა, და საშინელი ხმაურობა გამოიწვია.

ოდნავ გამოიღო კარები და გამოჩნდა განრისხებული სასახლის პატრონი.

წაჩოქილმა საშამ გაღებულ კარებიდან დაინახა მაღალი ტანის კაცი, რომელიც ისევ განაგრძობდა სკრიპკაზე დაკვრას.

— რა ხმაურობაა აქ? — შეკაცრად, მაგრამ ხმა-დაბლა იკითხა სასახლის პატრონმა.

მოსამსახურემ საშაზე უჩვენა.

— ეს ბიჭი შემოსულა აქ და ვერას გზით ვერ გავაგდე! — უბასუხა მან.

— შენ რა გინდა აქ? — უკმაყოფილო კილოთი შეეკითხა საშას სასახლის პატრონი.

წაჩოქილმა საშამ ხელები გაუშვირა და შეევედრა:

— მერე რომდენიც გინდათ მცემეთ, ოღონდ ახლა ნუ გამაგდებთ: ნება მომეცით მუსიკა მოვისმინო. გაძლევთ სიტ-



ყვას, რომ ერთსაც არ გაეინძრევი, — წკრიალა, ბავშური ხმით ეხვეწებოდა საშა.

თუმცა ისინი ხმა-მაღლა არ ლაპარაკობდნენ, მაინც ხელი შეუშალეს დამკვრელს; არტისტმა თავი დაიხრება დაკვრას და ყური დაუგდო ლაპარაკს. ბავშვის მგრძნობიარე ხვეწნამ მის ყურამდის მიადწია; გაიღიმა, მივიდა კარებთან და ცნობის-მოყვარეობით უსკქერდა მუსიკის ხელის შემშლელს.

ბავშვი სულ დაჩოქილი იყო. მისმა გაბრწყინებულმა თვალებმა და მგრძნობიერმა სახემ ძალიან იმოქმედა არტისტზე. უცებ იგი სახლის პატრონისკენ მოტრიალდა.

— განა თქვენ დარბაზში არ პოიპოვება ერთი პატარა ადგილი ამ მუსიკის მოყვარულისთვის? — ჰკითხა მან.

— როგორ, ჩემ სასახლეში ამ მაწანწალა ბიჭისთვის?.. თქვენ ხუმრობთ...

— შე არა ვხუმრობ: მართლს გეუბნებით. ძალიან ვთხოვთ პატივი მცეთ და შემოიყვანოთ! — ეხვეწებოდა გამოჩენილი არტისტი სასახლის პატრონს.

— თანახმა ვარ, ბატონო, თუ-კი ეს თქვენი სურვილია, — თავაზიანად უპასუხა სასახლის პატრონმა.

— ადექი, გამომყე! — უთხრა მან საშას.

ბავშმა წინანდელი ნალაპარაკევი ვერ გაიგო, რადგან ფრანგულად ლაპარაკობდნენ, მაგრამ უკანასკნელი სიტყვები პოლონურ ენაზე იყო ნათქვამი. საშა მიხვდა, ფიცხლავ წამოხტა, გახარებულს ის იყო უნდა შეერბინა დარბაზში, მაგრამ მოაგონდა სკრიპკა, მივარდა, აიღო და მზრუნველობით გასინჯა.

მსახიობი ყურადღებით შესკქეროდა ბავშვს და კმაყოფილებით დაუქნია თავი; სასახლის პატრონმა კი მის დაგვიანებაზე მკაცრად ჰკითხა:

— აბა, ჩქარა: მოხვალ თუ არა? — მოურიდებლად წაჰკრა ხელი, შეაგდო ოთახში და უჩვენა სკამი კუთხეში. მსახიობმა აიღო ხელში სკრიპკა, იქ მყოფ მსმენელთა სასიამოვნოდ გა-

იმეორა შეწყვეტილი ბეთჰოვენის სონატა. უცებ მისი თვალები მაწანწალა ბავშვს შეაჩერდნენ.

საშა თითქოს ვერ გრძნობდა — რა ხდებოდა მის გარშემო. მუსიკის ხმება ეჩვენებოდა ანგელოზის ხმებად, რომელიც, როგორც პაპისაგან ჰქონდა გაგონილი, ჩამოდიან ქვეყნად ტანჯულთათვის ნუგეშ საცემად. ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა ლოყებზე, საშა კი ამას ვერ გრძნობდა: ისე იყო სმენით გატაცებული.

გამოჩენილი მემუსიკე თვალს არ აშორებდა საშას და თითქოს მართო ამ პატარა მაწანწალასთვის შეუჩერებლად უკრავდა. უთვალავი მსმენელი ჰყოლია, მაგრამ ასეთი მომხიბვლელი, წარმტაცი სახის გამომეტყველება ჯერ არსად არ შეუშინებია.

არტისტი განუწყვეტლივ უკრავდა ერთი მეორეზე უკეთეს ხმებსა; სასახლის პატრონი ბანკირი და შეკრებილი მუსიკის მოყვარული სტუმრები აღტაცებულნი იყვნენ: ანგარიში ვერ მიეცათ თავის თავისთვის; უკვირდათ, არ მოელოდნენ ამდენ პატივისცემას მემუსიკესაგან. როგორ წარმოიდგენდნენ, რომ ეს გამოჩენილი ადამიანი ამ მაწანწალა ბიჭისთვის უკრავდა!

როდესაც არტისტი გაათავა დაკვრა და დასდო სკრიპკა, ხელოვნური დაკვრით აღტაცებული მსმენელნი გარსშემოეხვივნენ და მადლობა გადაუხადეს.

სასახლის პატრონმა სტუმრები მიიწვია სასადილო ოთახში.

— ერთ წამს მოითმინეთ! — სთქვა არტისტი: — მეც მსურს მოვისმინო რამე.

იგი მივიდა საშასთან, რომელიც ისე შესტკვროდა, როგორც საოცნებო ანგელოზს, მიუახლოვდა, სკრიპკას ხელი დაადო და დამტვრეულ პოლონურ ენაზე ჰკითხა:

— შენც იცი დაკვრა?



საშამ თავი დაუჭნია.

— აბა, გაგვაგონე.

საშა ერთ წამსაც არ ჩაფიქრდა, თითქოს რაღაც უმაღლეს ძალას დაემორჩილა, წამოხტა სკამიდან და გაბედვით დაუკრა; თან წკრიალა ხმით დაჰმღერა გერმანული სიმღერა.

— ძალიან კარგია! — მოუწონა არტისტმა.

— ახლა არ გინდა ჩემ სკრიპკაზე დაუკრა?

საშას სიხარულით თვალეები გაუბრწყინდა.

— თქვენსაზე?! თქვენსაზე?! — წაილულლულა მან: — ოჰ, რომ შეიძლებოდეს! ნებას რომ მომცემდეთ!

მემუსიკემ ღიმილით მიაწოდა სკრიპკა ბავშვს, თითქოს თავს იტყვევდა ერთი მხრივ ბავშვის განუხაზღვრელი სიხარულით, რაც მის სახეზე მკაფიოდ იყო აღბეჭდილი, და მეორე მხრივ — მსმენელთა უკმაყოფილებით.

საშამ დაუკრა თავისი საყვარელი ხალხური სიმღერა.

ოჰ, რა მშვენივრად ეღერდა სკრიპკა, რომელიც ბავშს პატარა ხელში ძლივს ეჭირა, და მასთან ერთად რა ტკბილი ხმით დასძახოდა ბავშვი თითქოს გულის სიღრმიდან ამონაკენს სიმღერას.

როცა მოისმინეს იქ მყოფმა სტუმრებმა ბავშვის ტკბილი მუსიკა და სიმღერა, მსწრაფლ შესცვალეს დამცინავი კილო.

არტისტი არ აშორებდა თვალს მომღერალ ბავშვსა. მის სახეზე ღიმილი აღიბეჭდა. როცა ბავშმა გაათავა სიმღერა, მღუმარე არტისტი გამოართვა სკრიპკა, თავზე ხელი გადაუსვა საშას, გამოჰკითხა ვინაობა, ჩაიწერა მისი ადრესი, ამოიღო ჯიბიდან ქისა და მისცა ბავშვს ყვითელი ბჭყვრიალა ოქრო.

დანარჩენმა სტუმრებმაც მიჰბაძეს მის მაგალითს, თუმცა კი ყველამ ასე უხვად არ დაისაჩუქრა. სასახლის პატრონი, კმაყოფილი იმითი, რომ ბოლო ეღება ამ სცენას, დაუძახა

მოსამსახურეს და უბრძანა: კარგად დაესაჩუქრებინა ბავშვი და ისე გაესტუმრებინა.

შოლოდ ახლა მიხედა ბავშვი, რა ამბავიც იყო მის თავსა; აქამდის ვერაფერზე შეეძლო ფიქრი, გარდა ჯადოსნური სკრიპკის ხმებისა.

დაბნეულად დასცქეროდა ხელზე დაწყობილ ოქროვერცხლის ფულს; მერე შეინახა ჯიბეში თავისი სიმდიდრე, რომელიც უთვალავი ეგონა, დასტაცა ხელი სკრიპკას, ყური არ უგდო მოსამსახურეს, რომელიც იწვევდა სამზარეულოში, და საჩქაროდ გამოვიარდა სახლიდან.

შურდულივით მირბოდა ქუჩაში, არ გრძნობდა სიცივეს არც არაფერს ამჩნევდა გარშემო; შევარდა ვანდუშთან, დაუყარა ლოგინზე ნაშოვნი საუნჯე და, თვალზე გაბრწყინებულნი, თავგამოდებით უამბობდა თავგადასავალს.

ამასობაში სტუმრები მზიარულად შეექცეოდნენ სხვადასხვა საქმელებს. სასადილო მაგიდაზე ელაგა ძვირფასი ქურქელი ტსუფრა სავსე იყო იშვიათი სასმელ-საქმელებით. ყველანი მზიარულობდნენ. პატარა მესკრიპკე აღარავის ახსოვდა. როდესაც შემოიტანეს შამპანური ღვინო, სასახლის პატრონი აღვა ჭიქით ხელში, ხმა-მალლა აღღვგრძელა არტისტი და წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მოიხსენა პატივცემული; ძვირფასი სტუმარი, მთელ ქვეყანაზე უპირველესი, გამოჩენილი სკრიპკის დამკვრელი.

არტისტი წამოდგა, მადლობა გადაუხადა ყველას და ხმა-მალლა წარმოსთქვა:

— მოწყალეო ხელმწიფენო, მსურს მოგმართოთ ერთი წინადადებით: დღეს შემთხვევამ გვაჩვენა ჩვენ ბავშვი, რომელსაც უტყუარი ნიჭი აქვს. მე გადავწყვიტე ვიზრუნო მისთვის, მაგრამ ამისთვის საჭიროა თქვენი დახმარებაც. თქვენ შორის ვინ იკისრებს ბავშვისთვის ზრუნვას, მის აღზრდას, სანამ იგი ჩემ ხელში გადმოვა? ყველა ხარჯი, რასაკვირველია, ჩემი იქნება...



— შე ვკისრულობ! — მხიარულად წამოიძახა სასახლის პატრონმა და თავისი ქიქა სტუმრისას მიუჯახა; ჩამბარეთ პატარა ბიჭი და კარგად აღზრდილ ყმაწვილს დაგიბრუნებთ.

ყველას მოეწონა ეს აზრი და ვაშა დასძახეს.

მალე გამოეთხოვა კეთილ სასახლის პატრონს გამოჩენილი არტისტი და წავიდა ვარშავიდან. სტუმარი ყველამ გააცილა.

იმ საღამოსვე წავიდა ბანკირი სასტუმროში, რომელიც საშამ დაუსახელა, ნახა ვანდუში და გამოუცხადა თავისი სურვილი, რომ ბავშვი უნდა წაიყვანოს თავის სახლში საცხოვრებლად და თვითონ მოხუცსაც აღმოუჩენს დახმარებას.

ბანკირს უნდოდა მაშინვე თან წაეყვანა საშა; მაგრამ საშამ თამამად გამოუცხადა, რომ მოხუცს თავს არ დაანებებს, სანამ იგი კარგად არ გახდება.

ერთი კვირის შემდეგ ვანდუშს უკვე შეეძლო წასვლა. ნაჩუქარი ტულთით მას კარგა ხანს შეეძლო უზრუნველად ეცხოვრა. საშა-კი გადასახლდა ბანკირთან საცხოვრებლად.

მორჩა საშა ხეტიალსა და წანწალს.

საშას აქაც დააწყებინეს სწავლა, სასტიკად ავალებდნენ წესიერებას. მაგრამ აქ მისი ცხოვრება გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე ბარტელსთან. ბავშვს არაპც თუ არ უშლიდნენ დაკვრას, პირიქით უბრძანებდნენ, რომ უკეთესად შეესწავლა, და აი სწორედ სკრიპკის ხალისით დანარჩენ საგნებსაც კარგად სწავლობდა.

ყველას უყვარდა პატარა, მალხაზი, ნიჭიერი მესკრიპკე. საშას ნება ჰქონდა როცა სურდა ენახა ვანდუში, რომელიც გულწრფელად უყვარდა.

ისწავლა თუ არა წერა საშამ, მაშინვე მისწერა წერილი ბარტელსს, შეატყობინა მთელი თავისი თავგადასავალი; მადლობას უხდოდა სიკეთისათვის და ბოდის იმისთვის, რომ გაიპარა იმათ სახლიდან. ახლა ბავშვი იმდენად განვითარდა და

შეიგნო ყველაფერი, რომ ცხადად გრძნობდა თავის დანაშაულს და სინიდისი სტანჯავდა.

ბარტელსის ოჯახი საშინლად შეშინებული და შეწუხებული იყო შვილობილის დაკარგვის გამო. როდესაც ბარტელსმა გაიგო საშას გაპარვა, ისე გაბრაზდა, რომ აღარც-კი უნდოდა მისი მონახვა; გაჯავრებული ამბობდა, — იმ ბავშვს მაწანწალა ბოშას სისხლი უდგია ძარღვებშიო. იმავე დროს არ ასვენებდა ფიქრი: ვინ იცის რა უბედურობაში ჩაეარდა საბრალო ბავშვი, და აი, მოულოდნელმა წერილმა მეტად გაახარა ორივე მოხუცი, და აპატიეს ბავშვს ყველაფერი. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა საშამ ინახულა ისინი, იმათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

წინანდელ მაწანწალა ბიქს-კი აღარა ჰგავდა: ის იყო კარგად მოყვანილი, ლამაზი თექვსმეტი წლის უმაწვილი.

საშა ცხოვრობდა პარიზში თავის მფარველ გამოჩენილ არტისტთან, რომელმაც ბანკირის სახლიდან გაიწვია თავისთან საცხოვრებლად, როცა საშამ სწავლა დაამთავრა.

არტისტმა მუსიკა შეასწავლა და ორი წლის შემდეგ გაისტუმრა თავისი მოწაფე სამოგზაუროდ.

მალე პატარა, საწყალმა მემუსიკემ მთელ ქვეყანაზე სახელი გაითქვა.

ან. ახალშენიშვილისა.





ნინო მაჭავარიანი

(ხელოვანება)

ქ
ემო პატარა მკითხველებო!.. კვლავ გულსაკლავი ამბავი გვაუწყეს ქართულმა გაზეთებმა...

ულმობელმა სიკვდილმა უდროოდ გამოგეტაცა ნინო... ნათლია ნინო, — როგორც უწოდებდნენ მისი სოფლის, ტურფა ქვემო-ხვითის, როგორც მოზრდილი, აგრედვე პატარა მცხოვრებლები.

ბევრ თქვენგანს, დარწმუნებული ვარ, არ გაუგონია მისი სახელი, არ იცის, თუ ვინ იყო ნინო...

მაგრამ აბა დაეკითხეთ სოფელ ქვემო-ხვითის ყველა ბავშვებს: ისინი გაგაცნობენ იმ ყოვლად პატიოსან, გულკეთილ და სამშობლო ქვეყნის მოამბე ადამიანს...

ხვითში, მგონი, არ მოიპოვება არც ერთი ადამიანი, რომ მისი გადაცვალება ისრად არ სცემოდეს გულში და ცხარე ცრემლი არ დაედვაროს...



ნინო მაჭავარიანი.

რით დაიმსახურა ნეტარ-ხსენებულმა ნინომ ანეთი საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა?..

ძალიან უყვარდა ნინოს სოფელი, მრავალ-ტანჯული გლეხობა. განსაკუთრებით თავს ევლებოდა და შეჰხაროდა იგი სოფლელ ბავშვებს; გულს უკლავდა მათი სიღარიბე, უცოდინარობა, უვიცობა. ნინომ და მისმა დიდად პატივცემულმა მეუღლე ილიამ დააარსეს სკოლა, თავისი სახლი შესწირეს (რომელშიაც სკოლა მოთავსდა), და თვით ნინო მრავალ წელს თვითონ მასწავლებლობდა და ეწეოდა ამ მართლაც მძიმე მოღვაწეობას. მისმა მადლიანმა ხელმა ისე კარგად წაიყვანა სკოლის საქმე, რომ დღეს მთელ გორის მაზრაში იგი პირველ, საუკეთესო სოფლის სკოლად უნდა ჩაითვალოს.

არა ერთხელ ვყოფილვარ ამ პატივცემულ პირთა ოჯახში, არა ერთხელ მომისმენია მათი ბასი ამ მათთვის საყვარელ საქმეზე... უნდა გეყურებინათ, როგორი სიყვარულითა და მუყაითობით ევლებოდნენ ისინი თავს პატარა კობტასკოლას... მათი ცხოვრების შნო და თვალის ჩინი — ეს სკოლა იყო.

კეთილ საქმისადმი ამგვარმა სიყვარულმა აკი კიდევაც გამოიღო თავისი ნაყოფი!..

დაესწრებივარ გაკვეთილებს; — მინახავს თვალემ-გაბრწყინებულნი, შუბლ-გახსნილი გოგონები და ბიჭუნები. ისინი ერთი-მეორეს ეჯიბრებოდნენ პასუხის მიგებაში... ლექსებს ისე მკაფიოდ და კობტად ამბობდნენ, რომ გაკვირვებული ვრჩებოდი... ახლა მათი კითხვა, როგორც ნაცნობი, ისე უცნობი მოთხრობისა. მთელი მათი ყურადღება მასწავლებლისაკენ იყო მიქცეული; ყოველ მის სიტყვას თითქოს ხარბად იტაცებდნენ, გულში იკრავდნენ...

აშკარად ეტყობოდა, რომ პატივცემულ ნინოს ძალიან ბევრი ეზრუნა და ამ გზით შეეყვარებინა სკოლა და სწავლა-განათლება თავის პაწაწა გვრიტებისათვის...

იქ, სხვათა შორის, ვნახე რამდენიმე ხელნაწერი, სუფთად აკინძული რვეული; შიგ მოთხრობები, ლექსები, წერილები და რებუსები იყო მოთავსებული.



— ეს რა არის-მეთქი, — დავეკითხე მასწავლებელს.

— ჩვენი ბავშვების ჟურნალიაო, — მომიგო მან სახე-გაბრწყინებულმა.

გადავათვლიერე, და განცვიფრებული დავჩი... მშვენიერი წერილები, მოთხრობები, ლექსები... თვალებს არ ვუჯერებდი; მაგრამ, როდესაც ერთმა ბავშვმა მიჩვენა ქალაქის ნაპირზე დაწერილი ლექსი და მითხრა, — „აი, მეც დავწერე ლექსიო“, — მაშინ კი დავრწმუნდი ყველაფერში...

პატარა ბავშვები, ნინოს თაოსნობით, თურმე ყოველკვირეული ჟურნალის გამომცემელი იყვნენ. ოციოდე ნომერი უკვე გამოცემული ჰქონდათ.

შემდეგ დავესწარ წენა-ქსოვის გაკვეთილს. კობხად და სუფთად სწნავენ სხვა-და-სხვა ავეჯეულს, ქურჭელს, სკამებს.

მოვისმინე მათი სიმღერა, სასიამოვნო ხმების მწყობრი კრიალი.

ყველა ეს საამოდ ჩამეწვეთა გულში, და გავიფიქრე: არ გაუჭირდებოდა ჩვენ ქვეყანას, ყოველ სოფელში თითო-ორო-ლა ასეთი ადამიანი, როგორიც ჩვენი ნინოა, რომ გვყავდეს-მეთქი...

როდესაც სახლში ვბრუნდებოდი, ნინომაც სხვებთან ერთად ჩვეულებრივ გზა გამითავაზა... გზაში რამდენსამე სოფელელ გოგოს შეეხვდით. მოგვესალმნენ.

— აი, ეს ის არის, რომლის წერილსაც წელან ვკითხულობდითო (აღარ მახსოვს-რა ფსევდონიმით). ჩემი ყურადღება მასზე შევაჩერე... თორმეტ-ცამეტი წლის გოგონა, სასიამოვნო სახისა, მხიარული, სუფთად გამოწყობილი.

— თქვენი წერილი წავიკითხეთ-მეთქი, — ვუთხარი და შევაქე.

— ახლა პიესა დავწერე, ორ-მოქმედებიანია, — მიპასუხა სახე-გაბრწყინებულმა გოგონამ. — ჩქარა ჩვენ ჟურნალში მოათავსებენ.

კვლავ განვცვიფრდი და ვისიამოვნე.

ხვითში იშვიათად მოიპოვება ბავშვი, რომ წერა-კითხვა არ იცოდეს.

ყველა ეს ნინოს მადლიანმა ხელმა, მისმა მხარეებმა გულმა გააცეთა, საძირკველი ჩაუყარა.

გარდა ამისა, ხსენებულ სოფელში არ ყოფილა არც ერთი საზოგადო საქმე, რომ ნინოს მონაწილეობა არ მიეღოს.

სიტყვით თუ საქმით—იგი მზად იყო დახმარება გაეწია თავის საყვარელ სოფლის ხალხისათვის. აქი კიდევაც მიაჩნდათ სოფლელებს მაქავარიანთ სახლი მხსნელ ადგილად; აქი ყოველთვის გარს ეხვეოდნენ მას გაქირვების დროს, სხვა-დასხვა საქმეების მოსაგვარებლად. ყველას უყვარდა ეს ოჯახი, ყველა პატივსა სცემდა, თავს ევლებოდა. განსაკუთრებით კი ბავშვები შესტრფოდნენ.

იქ არა-ერთხელ გაუმართავთ ბავშვებს დილა-სალამოები, წარმოდგენები და თავიანთი ნიჭით, ცოდნით და ხელოვნებით ყველა გაუკვირებიათ.

უნდა გენახათ მაშინ, რა სიამოვნებით შესცქეროდნენ ბავშვებს მათი შშობლები!

ყოველივე ამის შემქნელი იყო ნეტარ-ხსენებული ნინო, რომელიც უდროოდ გამოგვტაცა სიკვდილმა.

დიდი დანაკლისია მისი დაკარგვა ყველა ქართველისათვის და განსაკუთრებით ქვემო ზვითის პატარა ბავშვებისათვის.

იმით დაპკარგეს მზრუნველი, მოამაგე დედა, საყვარელი ნათლია ნინო...

მშვიდობით იძინე საუკუნო ძილით, დაუვიწყარო აღამიანო; შენი ნათელი სახე მარად წინ გვედგება სამაგალითოდ, მისაბაძავად...

იძინე... იძინე...

დ. ელიოზიშვილი





ზაფხულის ბაღი

(ვლდენი შალვა კლერაძეს).

ხედავ—შეყვითლდა ჩვენი წალკოტი,
ფოთოლს ატყვია დალი ნიაფქრის;
ქარმა კი... ქარმა აისხა ფრთები
და ისევე ქრის... და ისევე ჰქრის...

რა ნალელიანი და რა მშვიდია
ტურფა ზაფხულის გამომშვიდება,
და რა ნაზია, როდესაც კვდება
ადრე დამქნარი ტურფა დიდება...

შეჰხედავ ყვავილს... გიშრის წამწამებს
ბროლის ცრემლები დაეკიდება!
და ჩვენი ბაღის თეთრი ბილიკი
ჩამოცვივებული ფოთლით იდება...

მესმის ზუზუნი გამომწვიდების:
მწუხარე კრემლი გადმოიფრქვევა.
ჩასძინებია სვედიან ზაფხულს,
და მის ბაგეში იცინის წყევა...

მესმის, ბუნებაე, შენი ტირილი,
მსურს რომ ეს გული შენც შეათრთოლო,
და მისთვის მიშლის მწვავე იარებს
ზაფხულის ბოლო... ზაფხულის ბოლო...

წაიღე ჩემი მოგონებანიც,
წაიღე შენთან ჩემი ბუნება,
რომ არა ნახოს საკუთარ თვალით
შენი ღიმილის დაძაბუნება!

და შემდეგ იქნებ ველარსად გნახო,
რომ შემოგძახო, სალამი შენდა!
გამოიღარა ჩემმა ვარსკვლავმა
და მხიარული ღღეც გამითენდა!...

გ. ლეონიძე.





მიქელ-ანჯელო ბუენაროტი

დიდებული

ფლორენციელი



თელი ფლორენცია აღტაცებული იყო ლიუდოვიკო ბუენაროტის შვილის ხელოვნებით; მარტო ლიუდოვიკოს არ უნდოდა შვილის ნახვა, არც ლაპარაკი მის შესახებ. ძალიან უწყრებოდა მოხუცი ლიუდოვიკო ახალგაზდა მიქელ-ანჯელოს, რო-

მელმაც შიატოვა მამის ნაჩუქარი ფლექტა, არ მოისურვა მუ-

სიკის სწავლა, ლათინურ სკოლასაც თავი დაჰყენა და მამის ოჯახი გასცვალა უბრალო სახელოსნოზე.

ლიუდოვიკო ბუანაროტი ამყოფდა თავისი ძველი შთამომავლობით და სურდა, რომ იმისი საყვარელი შვილი დიდებული და მდიდარი გამოსულიყო. მიქელ-ანჯელომ დაამცირა თავისი გვარი: შევიდა მხატვრის სახელოსნოში ბიჭად და ხელოსნად გამოსვლა მოინდომა.

— ბუანაროტის გვარში არ ყოფილან ქვის მთლელები! — ჯავრობდა მოხუცი ლიუდოვიკო. უნდოდა სრულიად დაევიწყნა თავისი შვილი და ბრძანება გასცა, რომ მის ოჯახში არ ეხსენებინათ იმის სახელი. მთელი ფლორენცია კი თითქოს დასცინოდა მოხუცს და ლაპარაკობდა მიქელ-ანჯელოზე. ამბობდნენ, რომ თვით ჰერცოგმა ლორენცო მედიჩიმ სიყვარულით შიილო ახალგაზდა ხელოვანი და მამის მაგიერობას უწყევსო.

მოხუცი ლიუდოვიკო უფრო და უფრო იკმუხნებოდა, როცა ამგვარი ხმები ესმოდა. ის არ ეძებდა შემთხვევას, რომ შეხვედროდა შვილს და შეუთვალა ანჯელოს, — თვალით არ დამენახოვო. მაგრამ როდესაც ჰერცოგის კაცი მოუვიდა ლიუდოვიკოს და დაჰპატიჟეს სასახლეში, მოხუცს ძალიან გაეხარდა: კარგა ხანია ენატრებოდა შვილის ნახვა, უნდოდა თავის თვალთ ენახა და დარწმუნებულიყო იმაში, რასაც ლაპარაკობდნენ.

ძველ სასახლეს ირგვლივ ბალი ერტყა. სასახლის დარბაზებში შეკრებილი იყო საუკეთესო ხელოვანთა ნახატები. ბაღში იღვა ძველი ქანდაკებანი. მგოსნები, მეცნიერები და მხატვრები მუდმივი სტუმრები იყვნენ მედიჩის სასახლეში. მის საუნჯეს ფლორენციას გარედაც შორს ჰქონდა სახელი განთქმული. ლორენცო მედიჩის სახელი განთქმული იყო მთელ იტალიაში, როგორც ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველისა.



დღესასწაულებზე სასახლის ალყაფის კარები და ყველას შეეძლო სეირნობა სასახლის ბაღში. უბრალო დღეებში კი ბაღში შესასვლელად პატრონის ნებართვა იყო საჭირო.

ერთხელ თავის ბაღში სეირნობის დროს ჰერცოგმა ხეივანში ერთ ძველ ქანდაკებასთან მალალი, ტანადი, მზისაგან გაშავებული ქაბუკი დაინახა.

ქაბუკს ხელში მარმარილოს ნატეხი ეჭირა და დანით სჭრიდა; იგი ფაენის თავს აქანდაკებდა. ქაბუკი ისე იყო გართული თავის საქმეში რომ აქეთ-იქით არ იყურებოდა და ვერ შეამჩნია ცნობის მოყვარე სასახლის პატრონი. მეორე დღეს ქაბუკი ისევ ისე ბეჯითად მუშაობდა; მესამე დღეს მარმარილოს ნატეხს უკვე გარკვეული მოხაზულობა დაეტყო. მეოთხე დღეს რომ მოვიდა ქაბუკი, ძალიან შეწუხდა, რადგანაც თავის ადგილას აღარ დახვდა თითქმის უკვე დამთავრებული ნაშრომი. მწუხარედ მოაელო თვალი ირგვლივ და ამოიოხრა. ამ დროს ბუჩქებიდან გამოვიდა უბრალოდ, თითქმის ღარიბულად ჩაცმული ორმოცი წლის კაცი.

უცნობმა ჰკითხა ქაბუკს სახელი. ქაბუკმა მიუგო, მიქელ-ანჯელო ბუენაროტი მქვიანო. უცნობმა მოჰკიდა ხელი ხელში ქაბუკს და სასახლისაკენ წაიყვანა.

შევიდნენ, გაიარეს რამდენიმე დარბაზი და ერთში გაჩერდნენ. უცნობმა მიუთითა ერთ კუთხისაკენ და უთხრა:

— იი, მიქელ-ანჯელო, შენი ხელოვნების ნაყოფი; ის ღირსია იმის, რომ დაამშვენოს ეს დარბაზი. მე, ლორენცო მედიჩმა, ვბრძანე ეს... ამას იქით ჩემი სასახლე შენი სახლიცა და სახელოსნოც უნდა იყოს. სად ცხოვრობ შენ ახლა?

ანჯელო დაიბნა. დარცხვენილ-გაწითლებულმა უამბო თავისი თავგადასავალი მხატვრის სახლში და მოემზადა წასასვლელად, მაგრამ ჰერცოგმა დაიქირა და ღიმღლით უთხრა:

— შენ აქ დარჩები.

სასახლის სასადილო დარბაზში ბუხარი უკვე გაჩაღებული იყო. გრძელ მაგიდასთან უკვე იჯდა რამდენიმე კაცი, როცა ლორენცო და მიქელ-ანჯელო იქ შევიდნენ.

— აი სამაგალითო მექანდაკე! — უთხრა ჰერცოგმა და ანიშნა მხატვარ დონატელოზე. — აი, პოლიჩიანო, ძველი ნაშთების მკოდნე, და ბერტოლდო, საქმის მკოდნე ხელოვანი. ესენი იქნებიან შენი მასწავლებელნი, ბუნატორი, რადგანაც დარწმუნდნენ, რომ ნიქიერი ხარ.

ამის შემდეგ ლორენცოს აგარაკი გახდა ახალგაზდა მიქელ-ანჯელოსთვის მშობლიურ ოჯახად, სკოლად და სახელოსნოდ. მხატვრები და სწავლეულები. — სასახლის მუდმივი სტუმრები, — იმის მეგობრებადა და ხელმძღვანელებად გახდნენ. ფლორენციას უყვარდა ხელოვნება; ჭალაქი ნიქიერი ხალხით მდიდარი იყო, მაგრამ მიქელ-ანჯელოს ბავშური ხელებით გამოქანდაკებულმა ფაენის თავმა ყველა გაიტაცა. ჰერცოგ ლორენცოს სასახლეში მოდიოდნენ ფლორენციელები ახალი ხელოვანის ნაწარმოების სანახავად. ფაენის თავი იღვა მაღალ კვარცხლბეკზე, და ჰერცოგი, როცა აჩვენებდა ვინმეს ამ თავს, კმაყოფილები. ღიმილით ამბობდა:

— დიდი ნიჭის ნასახი ეტყობა ამ ბავშვის ნაწარმოებს. მას დიდი მომავალი მოელის.

პოლიჩიანომ კი უპასუხა:

— თქვენ გეკუთვნით ამ საოცარი ნიჭის აღმოჩენა.

დონატელოს ბედნიერებად მიაჩნდა ამისთანა მოწაფის ყოლა, როგორც იყო ანჯელო. მარტო ლიუდოვიკო ბუნაროტის არ უნდოდა გაეგო რამ შეილის შესახებ, არ უნდოდა მოსვლა და ნახვა თავისი შეილის ნაწარმოებისა. მაგრამ როდესაც მოხუცი თვითონ ჰერცოგმა მოიწვია სასახლეში, რასაკვირველია აღარ აღოდიანა. მედიჩის ძველ გვარეულობას დიდ პატივს სცემდა მოხუცი ლიუდოვიკო.

სიხარულით გაეშურა ანჯელო მამის შესახვედრად, მაგრამ ლიუდოვიკო ამაყად სდუმდა; პასუხი არ გასცა შეილს



მისაღმებაზე, დიდხანს, დიდხანს უცქეროდა მიქელ-ანჯელოს გამოკვეთილ ქანდაკებას და ჩუმ-ჩუმად გადახედავდა ხოლმე შვილს, რომელიც მოშორებით იდგა.

შემდეგ დიდხანს ესაუბრა ჰერცოგს, პოლიჩიანოს, ბერტოლდოს და დონატელოს.

სასახლიდან ლიუდოვიკო კმაყოფილი, მაგრამ მდუმარე გამოვიდა. მთელი გზა თავის სახლამდის ისე გაიარა, რომ უკან არ მოუხედნია და მხოლოდ სახლის კარებთან ანიშნა შვილს, რომელმაც მამა გამოაცილა, — მიახლოვებოდა მას. მოჰკიდა ხელი და შეიყვანა თავის სახლში, საიდანაც სამი წლის წინად წავიდა მიქელ-ანჯელო.

— შენ არ შეგიტყუებენია ბუანაროტის გვარი და ჩემი ოჯახი! — სთქვა გაბრწყინებულმა ლიუდოვიკომ.

და თითქოს უცებ გაბრწყინდა დაღვრემილი ძველი ქვის სახლი ლიუდოვიკოსი: ყველა კუთხეს მოეფინა სიხარულის შუქი.

— მიქელ-ანჯელო დაბრუნდა მშობლიურ ქერ-ქვეშ; ლიუდოვიკომ აპატია და მოიყვანა შვილი.

დაღვრემილი სახლი გაცოცხლდა, გაჩაღდა სანთლებით, გაშუქდა სიხარულით. — ჰერცოგი, პოლიჩიანო, დონატელო, — ყველანი ერთობ კმაყოფილნი არიან მიქელ-ანჯელოსი. მედიჩისა და ბუანაროტის მეგობრობა, აი ეს შესმის...

მაგრამ ამნაირ მეგობრობაზე როდი ოცნებობდა ანჯელო; ის მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა, ერთი რამ ენატრობდა: თავისი საყვარელი ხელოვნება. ხელოვნების სიყვარული ნიშნავდა იმას, რომ მას უნდა შეეწირა ხელოვნებისთვის მთელი თავისი სიცოცხლე, მთელი თავისი ფიქრები და დრო და ეცოცხლა მხოლოდ ხელოვნებითა და ხელოვნებისათვის.

— ხელოვნება საესებით იპყრობს ადამიანს, მოითხოვს მისგან დაუშრეტელ შრომას! — ასე ფიქრობდა ანჯელო. თავის მასწავლებელთა ხელმძღვანელობით ანჯელო შრომობდა,

ეცნობოდა ახალ და ძველ ხელოვანთა ნაწარმოებს, სტუდი-
 ლობდა შეესწავლა ცხოვრება და დაუცხრომლად შრომობდა
 თავის ქანდაკებებზე; დადიოდა ბაზარში და იქ უკვირდებო-
 ბოდა თევზებისა და ფრინველების აგებულებას; ღამ-ღამობით
 მიდიოდა მონასტერში, სადაც ანატომიური კაბინეთი იყო
 გამართული, და იქ ეცნობოდა ადამიანის აგებულებას, კუნ-
 თებისა და სხეულის წყობილებას. ხშირად ხედავდნენ მას ქა-
 ლაქის ბაღში მოხეტიალეს. დიდხანს მდუმარედ ჩერდებოდა
 ხოლმე იგი ქანდაკებათა წინაშე, რომლებითაც ისე მდიდარი
 იყო ფლორენცია. ყველაფერს აღნიშნავდა და ხატავდა თავის
 რვეულში.

ხანგრძლივი, ყველასთვის უჩინარი, მძიმე მუშაობა ნთქაე-
 და მრავალ საათს, დღეებსა და წლებს, სანამ გამოაქან-
 დაკებდა ისეთს დიდებულ ხელოვნურ ნაწარმოებს, რომელიც
 იზიდავდა ყველას ყურადღებას. განებივრებული ფლო-
 რენციელთ უკვირდით მოქანდაკე მიქელ-ანჯელოს სასწაულთ-
 მოქმედება. ისე ადვილად აქცევდა ის მარმარილოს დიდ ნა-
 ტებს საუცხოვო მშვენიერ ქანდაკებად. მაგრამ ბევრმა არ
 იცოდა, თუ რამდენ ტანჯვას, მღელვარებას, უძილო ღამეებს
 გამოივლიდა ხოლმე მიქელ-ანჯელო, სანამ ასეთ საოცარ რამეს
 შექმნიდა. თორმეტი წლიდან დაივიწყა მან, რა არის თამა-
 შობა და გასართობები. როდესაც მისი ტოლები მზიარუ-
 ლობდნენ, მარტო ის მუშაობდა დაუღალავად.

მთელი ფლორენცია აღაპარაკდა ახალგაზდა ხელოვანზე,
 თვითონ ის კი წყნარად და საიდუმლოდ მუშაობდა თა-
 ვის ახალ ნაწარმოებზე, არავის არ უშვებდა თავის სახელოს-
 ნოში, მამის სახლში. მოხუცმა ლიუდოვიკომ ჩუმად ნახა შვი-
 ლის ნაშრომი და ამოყად ამბობდა:

— ოჰ, ეს ფაენის თავს კი აჯობებს.

დადგა დიდებული დღესასწაული ლიუდოვიკოს სახლში.
 სახელოსნოს კარები მთლად ღია იყო. თვითონ ხელოვანი



სადაც გაჰქრა; შუა ოთახში კი იდგა მალალი, მარმარილოს საგან გამოკვეთილი „ჭერკულესი“.

ოთახში ამაყად დადიოდა მოხუცი ლიუდოვიკო და სახე-გაბრწყინვებული ეზბნებოდა სტუმრებს:

— ჩემმა საყვარელმა შვილმა, ჩემმა ანჯელომ ამ ფაფის ნაწარმოებით სახელი გაუთქვა ბუნაროტების მთელ ძველ გვარეულობას.

ჯერ კიდევ ოცდაერთი წლისა არც-კი იყო ანჯელო, და უკვე იტალიის პირველ ხელოვანად ითვლებოდა. დიდებული მეტოქეები ჰყავდა: მოხუცი ლეონარდო და-ვინჩი და ახალგაზდა რაფაელის მისი თანამედროვენი იყვნენ. იმათთან კეთილშობილურ კამათის დროს მიქელ-ანჯელო ხშირად განზე გადასდებდა ხოლმე მარმარილოს და იღებდა ფერადებს. დიდებული ხელოვანის ხელიდან გამოდიოდა დიდებული ნახატები.

მთელი წლობით მუშაობდა ხოლმე ანჯელო ხატვაზე და ივიწყებდა ქანდაკებას. თანამედროვენი გაკვირვებულნი იყვნენ: დიდებული და-ვინჩის ნაწარმოებთან, ღვთიური შვენიერებით მშუქარე რაფაელის სურათებთან რალაც განსაკუთრებული წყვდიადის ძლიერებით იყო აღბეჭდილი მიქელ-ანჯელოს ნახატები. იმის „საშინელი სამსჯავრო“ მართლაც რომ საშინელი იყო. უკვირდით თანამედროვეთ და ამბობდნენ:—მიქელ-ანჯელოს ყველაფერი შეუძლია,—არავითარი მეტოქე არ არის მისთვის საშიში.

მაგრამ თვითონ მიქელ-ანჯელოს მარმარილო ერჩივნა ტილოს და მართლაც რომ სასწაულმოქმედებდა. უხეშ მარმარილოს ნატებს გარდაჰქმნიდა ხოლმე მშვენიერ, საოცარ, ქანდაკებად, ხელოვნების სრულ სასწაულად აქცევდა. მხოლოდ თვითონ მხატვარი, მკაცრი მსაჯული, იყო უკმაყოფილო თავის ნაწარმოებისა და ხშირად შემოქმედების რისხვით გატაცებულს ერთი ჩაქუჩის დაკვრით დაუმტვრევია დაუმთავრებელი ქანდაკება და შემდეგ ისევ შესდგომია იმავე

საქმეს მარმარილოს ახალ ნაქერზე. ხშირად იყო ის სვედენი, დაღონებული, ფიქრებში გართული, და თითქმის არაფერი არ იცოდა, რა იყო მისი მწუხარების მიზეზი.

მარტოდ-მარტომ განვლო მან თავისი ხანგრძლივი ცხოვრება. მთელი სიცოცხლე შესწირა ხელოვნებას, რომელიც ბავშვობიდანვე შეიყვარა და მისი ერთგული დარჩა სიკვდილამდის. მთელი მისი სიცოცხლე—დაუცბრომელი შრომა იყო.

ოთხმოცდა ცხრა წელიწადი იცოცხლა მიქელ-ანჯელომ. დიდება მოიხვეჭა მან ქაბუკობის დროს და უკანასკნელ დღემდის დაულაღავად შრომობდა. ის ამბობდა, რომ სრული წარმატება—მხოლოდ დაუცბრომელი, მძიმე შრომით შეიძლება.

სამას ორმოცდა ათმა წელმა განვლო, რაც მიქელ-ანჯელო გადაიცვალა, მაგრამ საუკუნო სიკაბუკესა და საუკუნო შვენების დაუშრეტელი წყაროა იმისი უკვდავი ქმნილება.

ნ. ა.





ბრძოლა ადამიანისა პუნებასთან

როგორ აწყობენ ადამიანები თავის ცხოვრებას.

(წერილი მეტოქეებზე და უკანასკნელი).



ადამიანები ასე სასტიკად იმისთვის ებრძვიან ბუნებას და მის ძალებსა, რომ უკეთ მოაწყონ თავისი ცხოვრება. როგორც ვნახეთ, არც ისე მუქთად და გაურჯელად ეძლევა ადამიანს ყველა ის, რასაც ხმარობს საკმელად, თუ სასმელად, ჩასაცმელად და სხვა თავის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ყველა ეს ადამიანებმა უნდა მოიპოვონ თავისი კუთხითა და შრომით და თან უნდა ეცადნენ, რამდენადაც შეიძლება, გააუკეთესონ, უფრო ადვილი და სასიამოვნო გახადონ ეს თვისი მიწიერი ცხოვრება ყოველის მხრით.

საკმელი. ბუნება აძლევს ადამიანს საკმელს სრულიად დაუმუშავებელს. ბევრი საუკუნე დასჭირდა ადამიანს, ვიდრე, მაგალითად, ისწავლიდა ხეირიანად ცეცხლის გაჩენას და მოხმარებას. ცეცხლს ადამიანი პირველ ხანებში მარტო თავის გასათბობად ხმარობდა და მხოლოდ ბევრი საუკუნის შემდეგ იწყო მან წელ-წელა საჭმლის მოსამზადებლად მისი გამოყენება.

ველური და უსწავლელი ხალხის საკმელი, როგორც მოგხსენებათ, გარეული ნადირის თუ ფრინველების უმი ხორცია და უბეიროდ დაფქული და გამომცხვარი პური. არა თუ, მარტო ველურები, თვით რუსეთის, იტალიის, ავსტრიის

უნგრეთის და ბევრი სხვა ქვეყნის უბრალო ხალხი დღევანდელამდე ისევე იკვებება, როგორც იკვებებიან ველურები, იმ განსხვავებით, რომ, გარეული ნადირისა და ფრინველის ხორცის მაგიერ, ესენი ახლა შინაური ცხოველების და ფრინველების ხორცსა სჭამენ.

ნახეთ, როგორი დიდი გარჩევაა იმ საქმელებს შორის, რომლებსაც ხმარობენ ამავე ხალხთა უსწავლელი და ნასწავლი, შეძლებული წრეები და დარწმუნდებით, რომ ჩვენ არ ვაზვიადებთ ამ ამბავსა. შეადარეთ ორთქლის თუ ელექტრონის წისქვილებში დაფქული და შემდეგ საუკეთესოდ გამომცხვარი პური, თუ ბუდეები—ველური და უსწავლელი ხალხისაგან დაფქულ და გამომცხვარ პურსა, და კვლავაც დარწმუნდებით, რომ ჩვენ მართალს ვამბობთ. შეადარეთ აგრედვე ველურ და უსწავლელ ხალხის საქმელს საგანგებოდ ნაკვები—გასუქებული საქონლის ხორცი და სათბულებში საგანგებოდ მოყვანილი მწვანეულობა, რომლებიდანაც დახელოვნებული მზარეულები ამზადებენ ათასნაირ საქმელს, და დარწმუნდებით, თუ რა დიდი განსხვავებაა მათ შორის.

ტანისამოსი. ტანსაცმელად ადამიანები პირველად იმას ხმარობდნენ, რასაც მზა-მზარეულად აძლევდა მათ ბუნება, მაგალითად ხეების ქერქსა, თუ ფოთლებს და ფრინველების, ან ცხოველების ტყავებს. ნელ-ნელა ადამიანმა იწყო აქაც მეტი შრომის დახარჯვა და მეტი ზრუნვა იმისთვის, რომ უფრო კარგათ შემოსილიყო და მით უკეთ დაეფარა თავი სიცხე-პაპანაკებისა თუ სიცივისაგან.

ბუნება, მოგვხსენებათ, ფრიად ცვალებადია: ხან ცივა, ხან გრილია, ხან თბილია, და ხან ძალზე ცხელია. ბუნების ასეთი ცვალებადობა კი ფრიად მავნებელი და საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის. საუკეთესო საშუალება, რომ უკეთ დაიცვა თავი ბუნების ასეთ დაუდგარობისაგან, **ტანისამოსია**, და ამიტომ განათლებულმა ხალხებმა დიდი ყურადღება მიაქ-

ციეს შესაფერი ტანსაცმელის გამოგონება-შემზადებას, და
 გადაც შეასრულეს ეს საქმე. საჭიროა მხოლოდ, რომ ადამიანი, ტანისამოსის არჩევის დროს, უმთავრესად მის შნოსა და სარგებლობას აქცევდეს ყურადღებას, და არა მხოლოდ გარეგნულ ზიზილ ჰიპილებს...

სახლები. პირველად ადამიანები ცხოვრობდნენ პირდაპირ მიწაზე, ხეების ქვეშ, თუ ბუნებრივ გამოქვაბულებსა და მიწურებში. შემდეგ ისწავლეს ფანჯატურების კეთება, ხოლო ზამთარში რომ არ შეჰსცივნოდათ, სადგომის შუაზე ცეცხლს ანთებდნენ და ბოლის გასასვლელად სახურავში ხვრელს აკეთებდნენ. შემდეგ ფანჯატური ნელ-ნელა გაადიდეს, გააკეთეს, ზ გამოვიდა ჯერ კოხი და შემდეგ ნამდვილი სახლი, რამდენიმე ოთახით და კარ-ფანჯრებით, თუ ბუხრის მილებით, ერთ თუ ორ-სამ სართულიანი.

განსაკუთრებით კარგად ისწავლეს ადამიანებმა საზოგადო შენობების ვრცლად და შროიანად აგება, — ტაძრებისა და მღიღართ სრა-პალატებისა, ასე რომ დიდ ქალაქებში დღეს იშვიათი აღარ არის სამ-ოთხ სართულიანი სახლები, ხოლო ამერიკაში —



27 სართულიანი ცის-მზოკავი სახლი ქ. ჩიკაგოში (ამერიკაში).

ოცი და ორმოც სართულიანი სახლებიც არის ბლომად. ასეთ სახლებს იქ ცის მზოკავ შენობებს ეძახიან.

ეროვნული

ქალაქების სწრაფი ზრდა. არა მარტო სამსუბურში მშენებანებაში დახელოვნებულა ადამიანი: იგი ასევე დახელოვნდა თვით მთელი სოფლების და ქალაქების აშენებაში. ამ მხრივ ყველაზე უფრო საყურადღებოა ამერიკა: იქ, სადაც ამ რამდენიმე წლის წინად ცარიელი ქაობი, ანუ უდაბნო და უტეხი ტყე იყო, დღეს უმშვენიერესი ქალაქებია და ცხოვრებაც იქ სდულს და გადადის. ასე სწრაფად გაიზარდა, მაგალითად, ქალაქი ჩიკაგო. იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში, მიჩიგანის ტბის სამხრეთ-დასავლეთის კიდის პირადაა. ამ 50 წლის წინად ჩიკაგოში ითვლებოდა 3—4 ათასი მცხოვრები; ახლაც იქ ორ მილიონზე მეტია.

თვით ქალაქი ჩიკაგო სულ სხვაგვარად არის გაშენებული: ქუჩები ფრიად განიერები აქვს და ბალები აუარებელი, რომ ხალხს თავისუფლად შეეძლოს მოძრაობა და სეირნობა. ქალაქის ასე გაშენების გამო, მართალია, ცოტა რჩება ადგილი თვით სახლებისათვის, მაგრამ ამისაგან წარმომდგარ სივიწროვის ასანაზღაურებლად იქ სახლებს უფრო მაღლა აშენებენ და სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ჩიკაგოში მრავალია 5—6 სართულიანი სახლები და არც 10 და 20 სართულიანებია ცოტა.

იკითხავეთ, როგორ აღიან მდგმურები ასეთი სახლების უმაღლეს სართულებში? კიბეებით ასელა, მართლაც, ძლიერ ძნელი იქნებოდა, რადგანაც კაცი დაიღლებოდა და დროც ბევრი დასკირდებოდა ამ სიმაღლეზე ასასვლელად, მაგრამ ამერიკელები ძლიერ მოხერხებული ხალხია, და ამ გამოიგონეს ისეთი მანქანა, რომელსაც ლიფტი ჰქვია: მით თვალის სწრაფად აჰყავთ ხალხი, რომელ სართულშიაც ჰსურთ.

სასმელი წყალის გამოყვანა. ევროპაში ქალაქები მომეტებულად ძველის-ძველად არის დაარსებული და ახლა უზომოდ გაქედლილია ხალხით. ამისთანა ქალაქებში გამრავლებუ-



ლია სხვა-და-სხვა ქარხნებიც, და ამის გამო იქ დღე-ღამე ბოლი და ქვარტლი ტრიალებს, ხალხს სულს უზუთავს და ცხოვრებას უქირვებს. მაგრამ არ გეგონოთ, რომ მარტო ქარხნები აფუჭებდნენ იქ ჰაერს: ამ მხრივ ათასჯერ უარესია თვით ადამიანი, თვით ქალაქების მცხოვრებნი, რომლებიც ნაგვის და უწმინდურების მთელ გორებს ამართავენ ხოლმე ყოველ დღე, მეტადრე განაპირა უბნებში. თქმა არ უნდა, რომ დიდხანს ვერ გაუძლებდა ადამიანი ასეთ უწესოებას, და მანაც ხელი მიჰყო თავის შველას.

ასეთ გარემოებაში ადამიანმა პირველ ყოვლისა ყურადღება მიაქცია სასმელ წყალის საქმეს, რადგანაც, თუ წყალი მღვრიე და უწმინდურია, საშინელ სნეულების ბუდეს წარმოადგენს... ამ მხრივ ბევრი კარგი მაგალითი უჩვენა ქვეყანას საფრანგეთის დედა-ქალაქმა **პარიზმა**.

თუმცა პარიზში მდინარე სენაა, მაგრამ ამ წყალს მცხოვრებნი მარტო ბაღებისა და ქუჩების მოსარწყავად ხმარობენ და აგრედვე ორთქლისათვის საქარხნო ქვაბებში. სასმელად და სხვა ყველა საჭიროებისათვის კი პარიზელები მარტო შორ წყაროებიდან გამოყვანილ სუფთა წყალს ხმარობენ. დღეს პარიზს იმდენი წყაროები აქვს უშორეს ადგილებში შეძენილი და ქალაქის ყველა უბნებში გამოყვანილი, რომ დღე-ღამეში 20 მილიონ ვედროზე მეტ წყალს აძლევენ ქალაქს, რაიცა შეადგენს $9\frac{1}{2}$ ვედრო წყალს თვითეულ მცხოვრებზე. წინად კი, ხშირად, თითო ბოთლიც არ მოდიოდა კაცის თავზე.

ქალაქი ამით არ დაკმაყოფილდა და ახლა კიდევ შეიძინა სხვა-და-სხვა ადგილას ახალი წყალსადენი, საიდანაც კიდევ შეიძლება გამოიყვანოს იმდენი წყალი, რომ ქალაქს კიდევ 25 მილიონ ვედროს მისცემს...

სხვა დიდ ქალაქებს—რომს და ნიუიორკს, უფრო უხვად აქვთ წყალი; მაგალითად რომში თვითეულ მცხოვრებზე

მოდის 76 ვედრო დღე-ღამეში და ნიუიორკში—46 ვედრო, მაგრამ ვერც ესენი და ვერც ერთი სხვა ქალაქი ვერ დაიკვეხებს ისეთ სუფთა და ანკარა წყალს, როგორც არის პარიზის წყაროების წყალი.


უწმინდურების არხები. სრული სისუფთავისა და ჯანსაღობისათვის მარტო კარგი წყალი არა კმარა. საჭიროა აგრედვე, რომ ყოველი უწმინდურება, კუჭკუიანი წყალი იქნება ეს, თუ სხვა სიბინძურე და ნაგავი, უთუოდ სადმე შორს იზიდებოდეს ქალაქიდან.

ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს ქალაქები მიწის ქვეშ არხების გაყვანიტ ჰქმნიან. სამაგალითოდ აქვს ეს საქმე მოწყობილი ქ. **ლონდონს**. წინა დროის ლონდონის ყველა უწმინდურების არხი პირდაპირ მდინარე **ტემზაში** ჩადიოდა და ძლიერ ჰშხამავდა და ჰბილწავდა წყალს. დღეს კი ქალაქმა უწმინდურების ყველა არხი მიუშვა ერთ დიდ არხში, მიწის ქვეშ, რომელსაც აქვს 123 ვერსი სიგრძე. ეს არხი გადის ერთ დიდ, 55 ათას დესეტინიან უდაბურ და ქვიშიან მინდორზე, სადაც წინა დროის არაფერი არ მოდიოდა, არ იზრდებოდა. ახლა კი, რადგანაც ამ არხს ყოველ დღე მოაქვს ამ მინდორზე 16 მილიონი ბოჩკა კუჭკუიანი წყალი და უწმინდურება, ყველა ამან ისე გაანოყიერა და გაასუქა ეს მინდორი, რომ საუკეთესო სათიბად გადაიქცა; წელიწადში 6—9 ჯერ სთიბავენ იქ ბალახსა, რომლითაც ჰკვებავენ ასე ათასზე მეტ თავს ძროხას და თვითონ ქალაქიც ამ არხის გამო გახდა ერთი ათად უფრო სალი და სუფთა...

შემდეგში ასევე მოიქცა ქალაქი პარიზიც. პარიზის დიდი არხი გამოდის ქალაქიდან 14 ვერსის მანძილზე მდებარე მინდორებზე და რწყავს და ანოყიერებს იქ 30 ათას დესეტინა მიწას. მოსავალი აქაც ისეთი უხვი მოდის ყოველწლივ,



რომ მარტო მისი შემოსავალი გამოისყიდის არხზე გაწეულ ხარჯს...




ქარხნებიანი ქალაქი ინგლისში

ქალაქების რკინის გზები. ახლანდელი ქალაქები ხშირად გაქიმულია ათ და ოც ვერსზე. მაგალითად, ლონდონს ამ ეამად აქვს ოცი ვერსი სიგრძე და ამდენივე სიგანე; ამდენსავე სიგრძე-სიგანეზე მოფენილია ქალაქის გარეთუბნები. მოდი და იარე ფეხით ამოდენა მანძილზე! ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო და ქალაქებმაც ხელი მიჰყვეს ქუჩებზე რკინის გზების გამართვას. მაგრამ ქუჩებზე იმდენი ხალხი და ეტლი მოძრაობს, რომ ხშირად დიდ-ხნობით არ იცი, სად და როგორ აუტყიო მათ გვერდი. მაგალითად, გამოანგარიშებულია, რომ ლონდონის მდინარე ტემზაზე თუმცა მრავლის უმრავლესი ხიდია, მაგრამ მაინც ყოველ დღე თვითიველ ხიდზე 200 ათასი ფეხით მოსიარულე გადის. მოდი და გაიყვანე რკინის გზები ასეთ ქუჩებზე, სადაც ადამიანსაც გავლა უჭირს.

მაგრამ რაღა არის შეუძლებელი ახლანდელი ნასწავლი ხალხისათვის?—მიწის ზედაპირზე თუ არ არის ადგილი, მის

ქვეშ ხომ არისო, — იფიქრა ადამიანმა, და აი შეუდგნენ ინტინერები რკინის გზების გაყვანას ქუჩებისა და სახლების ქვეშ, 7 საფენის სიღრმეზე მიწის ზედა პირიდან: გათხარეს იქ უშველვებელი, მაღალი და განიერი გვირაბები, გაანათეს ელექტრონით, დააწყეს რელსები და ამ სახით იქაც ისევე მოაწყეს რკინის გზები, როგორც ნათელ ზედაპირზე.

ქალაქის რკინის გზები მალა ჰაერში. ვერც მიწის ქვეშეთმა დააკარისა ლონდონი; კვლავაც ვიწროობა იყო, და ახლა ჰაერს მიადგნენ: უქმად ვიჭირავს ადგილი, აქ მიწაზე და მის ქვეშ ველარ ვეტყვით, და გზა მოგვეციო! ამართეს ქუჩების პირად მაღალი სვეტები, გააწყეს ზედ რელსები და გაუშვეს მატარებლები!



რკინის გზა ბოძებზე, ჰაერში.

გზები მდინარეთა ქვეშ. ზემოთაც ვსთქვიით, რომ მდინარე ტემზაზე ბევრი ხილია, მაგრამ ესენი მაინც საკმაო არაა ყველა გამვლელ-გამოვლელისათვის: ვიწროობაა, და ვიწროო-

ბა-კი იძულებს ადამიანს რამე წამალი გამოუძებნოს, და გამოძებნა კიდევცა: ინგლისის ინჟინერებმა მოახერხეს და გაიყვანეს გვირაბები თვით მდინარის ქვეშ, დააწყეს აქაც რელსები, გაანათეს ელექტრონით და გაუშვეს მატარებლები! ფეხით მოსიარულეთათვის-კი განიერი ქვაფენილები დამართეს მის მარჯვნივ და მარცხნივ...

ნიუორკში მრავლად არის გაყვანილი რკინის გზები მა-ლლა ჰაერში; მარტო ამ ერთი ქალაქის ასეთ გზებს წელიწადში 162 მილიონი მგზავრი გადაუყვანია...

პნევმატიური ტელეგრაფი. არც ამით დაკმაყოფილდა ადამიანი. მან მოინდომა, რომ წერილები და დეპეშები დაუ-ყოვნებლივ მისულიყო დანიშნულ ალაგას, და აი—გააწყო მიწის ქვეშ ორ-გოჯიანი მილები და აგზავნის მით ყო-ველგვარ წერილებსა და დეპეშებს შეკუმშული ჰაერის შემ-წეობით. ეს ძალები ერთი საათის განმავლობაში აწვდიან ხალხს ყოველგვარ წერილებსა და დეპეშებს ქალაქის ყოველ კუთხეში... ასეთ მოწყობილობას ეწოდება პნევმატიური, ე. ი. ჰაერის სუნთქვით მოძრავი ტელეგრაფი, ტელეგრაფს-კი იმიტომ ეძახიან, რომ მასავით სწრაფია.

სინათლე. ბუნებას ისე აქვს დრო განაწილებული, რომ დღისით სინათლეა, ღამე-კი ბნელა. როგორც სხვა ბევრს რამეში, ისე აქაც ვერ შეეგუა იმას ადამიანი, რომ უძვირ-ფასესი დრო სიბნელეს უკავია და ამ მიზეზის გამო ისე ვერ სარგებლობს დროთი, როგორც შეიძლებოდა; და აი შეუდ-ვა ზრუნვას, თუ როგორ დაეძლია სიბნელე, და დასძლია კიდევცა. ველური და უსწავლელი ხალხნი სიბნელეს ცეცხლის ანთებით, ანუ კვართა და სანთლით, თუ ნავთით სძლევენ, მაგრამ განათლებული-კი ამით არ დაკმაყოფილდა და ცდილობ-და აღმოეჩინა უფრო მარჯვე და ძლიერი სინათლე.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ადამიანებმა ისწავლეს ქვა-ნახშირიდან ერთგვარი მანათობელი ჰაერგვარი გაზის გამოხდა და დაიწყეს კიდევ ქალაქების ქუჩებისა თუ სახლების განათება. მაგრამ ვერც ამ სინათლემ დააკმაყოფილა ადამიანი და კვლავ შეუდგა ახალი, უფრო მარჯვე და ძლიერი სინათლის აღმოჩენას. ასეთი სინათლეა ელექტრონის სინათლე, რომელიც გაცილებით უკეთესია მანათობელ გაზზე, და ამიტომ სწრაფადაც გავრცელდა იგი ყველგან...

ჰავის გადასხვაფერება. მარტო სიბნელე არ დასძლია ადამიანმა, მარტო ის არ შესცვალა სინათლედ! ასევე შესცვალა და გადასხვაფერა მან ჰავა თავის სურვილისა და სარგებლობის დაგვირად. თქვენ უკვე იცით, რომ ჰავა ყველგან ერთნაირი არ არის. ზოგან რომ ცივა, — ზოგან ცხელა; ზოგან რომ მშრალი ჰაეაა, ზოგან — ნოტიოა და სხვა. ისიც იცით, რომ ყველანაირი ჰავა როდია საღი და სასარგებლო ადამიანისათვის. ეს იყო მიზეზი, რომ უწინდელ დროში, როცა ხალხი უფიცი იყო, ხშირად მთელი ტომობით წყდებოდა იგი ცუდი ჰავისაგან, რადგანაც იმდენი არ ესმოდა, რომ გასცლოდა მვენებელ ჰაერს და უფრო საღ-ჰავიან ადგილებში დამდგარიყო.

სულ სხვაა ახლა. სიცივისაგან ადამიანები ახლა იმით იცავენ თავს, რომ აშენებენ კარგ და თბილ სახლებსა, და ათბობენ შეშით, ნავთით თუ ქვა-ნახშირითა. უდიდეს ყინვებშიაც-კი ნამდვილ გაზაფხულს მოგაგონებთ ამ სახლების ჰაერი, ასე რომ თვით მცენარეებისთვისაც-კი ჰქმნიან ნამდვილ ზაფხულს და მოჰყავთ სათბურებში ყოველნაირი ბოსტნეული და ხილეული.

ეს ცოტაა: ადამიანებმა ისწავლეს თვით ჰავის გადასხვაფერება და გამოცვლა თავისთვის სასარგებლოდ. მართალია, პირველ ხანებში ადამიანი უფიცობის გამო დაუზოგავად სწვავდა და ანადგურებდა ტყეებს, მაგრამ სულ სხვანაირად იქცევა



ის ახლა. მან შეიგნო, რომ ტყეების გაჩეხვამ ჰავა ბევრგან სულ გააფუქა—ზამთარში სიცივე გააღიდა და ზაფხულში—სიცხე. შეიგნო ეს თუ არა, იგი ბეჯითად შეუდგა ხელოვნურად მაგიერი ტყეების მოშენებას და გადარჩენილების მტკიცედ დაცვას და ამით ბევრგან შესამჩნევად გააუკეთესა ჰავა, ესე იგი გააზომიერა იგი. ამოიყვანა ბევრგან არტეზიანული ქვები და მით ხელი შეუწყო უდაბნოებში ბაღებისა და სოფლების გაშენებას და წვიმების გაჩენას ისეთ ადგილებში, სადაც წინად წვეთიც არ მოდიოდა წლის განმავლობაში. დააშრო ბევრგან ქაობები და მით დიდად შეუწყო ხელი როგორც ჰავის გაუკეთესებას იმ ადგილებში, ისე თვით მიწის გაუკეთესებასაც. იტალიელებმა და ფრანგებმა კიდევ ყველა ნოტიო და ქაობიან ადგილებში მოამრავლეს ერთგვარი ხე, რომელსაც **ევკალიპტუსი** ეწოდება და იმით არის შესანიშნავი, რომ ხარბად სწოვს მიწიდან ზემეტ სინესტეს, აშრობს ნიადაგს და ჰავასაც აუკეთესებს...

წინასწარმეტყველებანი. აქამდის ქართველის წინააღმდეგ ვერას აწყობდა ადამიანი, რადგანაც არ იცოდა—სად ან როდის დაჰკრავს ქართველი თუ გრიგალი, სად როგორი დარი იქნება. ამით, რა თქმა უნდა, ბევრს ჰკარგავდა ადამიანი; მაგალითად, მოასწრებდა ქართველი სადმე შუა-ზღვაში ხომალდებსა და მრავალს დაჰლუბავდა. ადამიანმა დაუწყო ბუნებას ბეჯითად თვალიერება, დაკვირვება, ააშენა ბევრგან ბუნების სათვალყურო შენობები, რომლებსაც **საჰერო ობსერვატორიები** ეწოდება, ჩააყენა შიგ მენციერი ხალხი და დაავალა, რომ ბეჯითად ყური უგდონ ბუნებას, მის ყოველ ცვლილებას და ყველაფერი რიგზე და სისწორით ჩასწერონ. ამ ჩანაწერების შეფარდებით და შედარებით ადამიანმა იმას მიადწია, რომ შესძლო დარისა თუ ავდრის წინაღვე გამოცნობა, ესე იგი შესძლო **წინასწარმეტყველება**. ადამიანის ასეთმა ცდამ ჯერ-ჯერობით ის ნაყოფი გამოიღო, რომ



შეუძლია ორი დღით წინ გამოიცნოს—სად როგორი დარი იქნება და თვის ამ დაკვირვებას იგი ტელეგრაფის შემწეობით ხელად აცნობებს ხოლმე ქვეყანას და თვით ზღვაში გასულ მებრძოლებსაც. ესენიც, გაიგებენ ამას თუ არა, შეეცდებიან ხოლმე შესაფერად დაუბუნდნენ დაუპატივებელ სტუმარს. რამდენად დიდი სარგებლობა მოაქვს ამ წინასწარმეტყველებას, იქიდან სჩანს, რომ დღეს ას საშიშარ შემთხვევაში ოთხმოცი მშვიდობიანად და უზიანოდ ჩაივლის ხოლმე...

ივ. როსტომაშვილი





შ ა რ ა დ ე ბ ი

(წარმოდგენილი მ ნაირ-მის შერ))

(იქნის მიმდებარე და ადგილი)

ერთი—ქვეყნად დანაფარდობს,
არ სჭირდება ცხენი, ხარი;
მეორე—შემოდგომანზე
სოფლად არის გასახარი.
პირველს ბოლოში მოვაქერ,
მეორეს—თავში გავკარა,
და თითო ასოს დაკლებით
ვსთქვი, რაც ვარ, და მას შევხარი

II

დასასრულსა დაუმატე
თანხმობის მოქმელი კავშირი,
და ბოსტანში ნახავ თეთრსა,
ან კიდევ შავს, ვით ნახშირი.

III

ერთი—ზრანგების მღვდელია,
 და მეორე—ქალაქიო;
 პირველისა ბოლო ასოს
 მოშლით, დასხით ლაქიო.
 ერთად—ქვეყნად ყველაფერს ჰყავს
 მეთვალყურე და ბახიო.

ზ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(ჩაწერა ივ. გამყდარაძის მიერ)

I

ერთი რამ უცხო ფრინველი
 მთას მიაღგება გმირულად,
 თავს ხურავს წითელი ქუდი
 და ტანთ აცვია ბერულად;
 მას თავის პირი ცულად აქვს
 ახალი, გამოპირულად;
 ხმელს დაჰკრავს,—ნედლი გამოაქვს
 თავისი სარჩო გმირულად.

II

ამოცანაა ნათქვამი,
 თუ ბრძენმა გამოსახისა,

მკვრეტელთა შემამკობელი,
 მშენიერისა სახისა,
 სახლი უდგს იგი ელვარე
 შიგ არის შენი სახისა;
 პირიპირ შეყრა ვიამის,
 რა ნახვა შენი სახისა

III

ავდექ და ტყესა მივმართე,
 იქით მოვიღე სახმარი;
 ზღვით გამოვიღე საუნჯე,
 მე შევექმენ კაცთა სახმარი;
 ჯორზედა შეესხი ხუთი ძმა,
 ვილაპარაკე გამხმარი.



რეზუსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(წარმოდგენილია დ. ელიაზიშვილის მიერ)



ყვავი
როგო-
რა ჩხა-
ვის?

ს. 3,

ქრისტეს
დაბადე-
ბის დღე-
სასწაული.



მ



წაიკითხო
სამი წიგნი
ქართულ ენაზე
ყო, იმერული
აგუროის დღეა
ქალაქი.



მ



მე-9, 10 №-ში მოთავსებულ გამოცანას, შარადების ო რეზუსის აღსნა:

1) როცა მათხოვარმა მესამე ხატს აბაზი შესწირა, თავისი ჰქონდა ორი შაური, რადგან ორი შაური ხატმა მისცა. როცა მეორე ხატს აბაზი შესწირა, ეჭებოდა ექვსი შაური. აქედან მისი იქნებოდა ნახევარი, ესე იგი—სამი შაური. ხოლო როცა პირველ ხატს აბაზი შესწირა, მაშინ სულ ეჭებოდა შვიდი შაური. ამ შვიდი შაურიდან ნახევარი იყო მისი, ანუ 17¹/₂ კაპეიკი. მათხოვარი რომ საყდარში შევიდა, ჰქონდა 17¹/₂ კაპ. 2) ჩაბალახი; 3) კვერცხი; 4) ზაფხულმა თვალი დაბუჭა, ზამთარმა მოგვიღოცაო.

რედაქტ. ნინო ნაკაშიძე. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი.

1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადული“

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

შუბნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მან. გაგზავნით 3 მან. 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი**—3 მან. გაგზავნით 3 50 კაპ. მოზრდილთათვის **12 წიგნი**—3 მან. გაგზავნით 3 მან. 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილიადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიციანიძისთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიისში**—ვლ. ნაცვალაძისთან. **ფოთში**—ლუდმილღე მეგრელიშვილთან. **ბათუმში**—ტროფიმ ინასარიძისთან ფოსტაში, ტ. ანასტასია ლომინაძისთან. **ოზურგეთში** ტ. ლანჩხუთში—ლეო იმნაძისთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძისთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძისთან. **გორში**—ქეთევან ჯაფახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. კავჭანიძისთან. **მიხაილოვოში**—გაორგი ნაკაშიძისთან. **ყვირილაში**—ნინო ფერაძისთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი მ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.